საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№139 (12 209)

15 ივნისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ახალი პრემიერლიგა
კალენდარი მზადაა 8

დინამო ლეშაკს გერმანიაში ელოდება

ინტერვიუ დუშან უჰრინთან 2

მილანი: 70 მილიონი გირვანქა რონალდინიოში!

მსოფლიო ფეხბურთის ამბები 5-8

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

შედეგი არ არის და თავის მართლების უფლება არ გვაქვს

კობიაშვილი: დარწმუნებული ვარ, რომ ტოპმიოლერი კარგი მწვრთნელია... მაგრამ, დღეს იმასაც ვერ ვახერხებთ, რომ კარში მაინც დავარტყათ...

დავით თავართქილაძე



...ყოველთვის არ არის შენი დღე და ასეთ დროს გჭირდება ის, ვინც დაგეხმარება, ვინც ამ მომენტში შენზე კარგად იცნობა მზად. იმ კლუბში თამაშობ თუ ამ კლუბში, მოედანზე ყველა ერთია და დახმარება ყველას სჭირდება...

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და "შალკეს" ნახევარმცველ ლევან კობიაშვილს წარმატებული სეზონი ვერ ჰქონდა. გელზენკირხენელებმა ბუნდესლიგა მეორე ადგილზე ჩაამთავრეს, თუმც მანამდე კარგა ხანს ლიდერობდნენ და ჩემპიონობა ბოლო ტურებში გაუფრინდათ ხელიდან. კობიაშვილმა კი საკადრისად ვერც ბუნდესლიგაში ითამაშა და ვერც ეროვნულ ნაკრებში, არადა, ყველამ იცის, რომ მას ბევრად მეტი შეუძლია, და გულშემატკივრებიც მისგან სწორედ რომ მეტს ელოდნენ. გასულ სეზონში მან საკუთარი შესაძლებლობების, ალბათ, 50 პროცენტი თუ აჩვენა...

კობიაშვილი ახლა თბილისშია. მას "შალკეზეც" ვესაუბრეთ და ბუნებრივია, ეროვნულ ნაკრებზეც, საქართველოს უპირველს გუნდზე, რომელსაც არა და არ დაადგა საშველი. მაშ ასე, "ლელოს კითხვებს ლევან კობიაშვილი პასუხობს...

- "შალკეს" ასე პირველად არ დაემართა, ბუნდესლიგას რამდენიმე ტური რომ ლიდერობს, მერე კი გაუთვალისწინებელ ქულებს კარგავს და ჩემპიონი ვერ ხდება. ასეთი რა ზნე სჭირს ამ გუნდს?

- მეორე ადგილზე გავედით და ჩემპიონთა ლიგაში საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე ვითამაშებთ - სეზონის წინ რომ გვცოდნოდა, ამას რომ მივაღწევდით, რა თქმა უნდა, დადებით შედეგად ჩავთვლიდით. ჩვენი მიზანი სამეულში მოხვედრა იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ განვითარდა მოვლენები, უკმაყოფილონი უფრო ვართ, ვიდრე კმაყოფილები. ოთხი წელია, "შალკეში" ვარ და ასეთი რამ მეორედ დაგვემართა. ჯერ "ბაიერნმა" აგვწაპნა ჩემპიონობა, ახლა "შტუტგარტმა". ეს, ალბათ, ფსიქოლოგიური ფაქტორით აიხსნება. დიდი ხანია, "შალკე" ჩემპიონი არ გამხდარა და როცა საამისო შანსი ჩნდება, ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა იზრდება. ამ მხრივ, "ბაიერნს" სხვა გუნდებთან შედარებით უპირატესობა აქვს. ბავარიელები ხომ ბოლო წლებში ძალიან ბევრჯერ გახდნენ გერმანიის ჩემპიონები. ბოლომდე მაინც ვერ გავიგე, რა დაგვაკლდა ტიტულამდე. ფსიქოლოგიური ფაქტორი ერთია, მაგრამ "შალკეში" ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია და ასეთი ზეწოლისთვის, წესით, უნდა გაგვეძლო. ჩემპიონობის ასეთი შანსი, ალბათ, აღარ გვექნება.

- ამას იმიტომ ამბობ, რომ "ბაიერნი" მნიშვნელოვნად გაძლიერდა?

- "ბაიერნი" მართლაც ძალიან გაძლიერდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე ჩემპიონია. არავინ იცის, როგორ შეეწყობიან გუნდს ახალი მოთამაშეები.

2

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ინტერვიუ დუშან უჰრინთან

ლეშაკი, ალბათ, გერმანიაში შემოგვიერთდება

ნერგაძე და ნოზაძე მიდიან

ახალი სეზონისთვის მზადებადაწყებულ თბილისის "დინამოს" გუშინ გამთენიისას მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი და ჩერნოგორიელი ფორვარდი ილია სპასოევიჩი შეუერთდნენ.

დინამოელებს გუშინ ორი ვარჯიში ჰქონდათ, დილით ბაზაზე, საღამოს კი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. გუნდი დღესაც ორჯერ ივარჯიშებს, ხვალ დილით კი შეკრებაზე ბაკურიანში გაემგზავრება.

გასული სეზონის დასრულების შემდეგ, სამშობლოში გამგზავრებამდე წინ, დუშან უჰრინმა "ლელოს" განუცხადა, რომ ჩეხეთში რამდენიმე ფეხბურთელს დააკვირდებოდა. საინტერესოა, ვინ ნახა უჰრინმა, და, საერთოდ, რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ "დინამოში"...

- თბილისში დავბრუნდი და მზადებას შევუდექით. ჯერჯერობით ფიზიკურ მომზადებაზე ვამახვილებთ ყურადღებას. მალე ბაკურიანს მივაშურებთ, 26 ივნისს კი შეკრებისთვის გერმანიაში წავალთ. იქ მინიმუმ 5 ამხანაგურ მატჩს გავმართავთ. ეს პერიოდი ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებისთვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

- გერმანიაში ახალ ფეხბურთელებსაც ელით. იქნებ კონკრეტულად გვითხრათ, "დინამოში" ვის გამოჩენას უნდა ველოდოთ?

- კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. ამ საკითხზე კლუბის ხელმძღვანელობა მუშაობს და მჯერა, რომ კარგ ფეხბურთელებსაც შეარჩევს. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ გერმანიაში 2-3 ფეხბურთელი მაინც შემოგვიერთდება.

- ფეხბურთელები ევროპიდან, სამხრეთი ამერიკიდან თუ აფრიკიდან?

- ჩვენ საუკეთესოებს ვეძებთ. ისეთებს, რომლებიც "დინამოს" მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

- ვიცით, რომ სამშობლოში შვებულებით ყოფნისას ფეხბურთელებიც შეათვალიერეთ. იქნებ კონკრეტულად გვითხრათ, თუ ვის აკვირდებოდით?

- დასამალი რა მაქვს? გიორგი შაშიაშვილს "დინამოსთან" საიჯარო კონტრაქტი დაუმთავრდა და მარცხენა მცველს ვეძებთ. "სლავიასთან" "ზლინის" მცველ ბრონისლავ ჩერვენკას თამაში ვნახე. მართალი გითხრათ, ეს მცველი მომეწონა, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ის უცხოეთში თამაშზე ჯერ არ ფიქრობს. 6 წლის შვილი ჰყავს და არ აპირებს ჩეხეთის დატოვებას.

- სხვებიც გინახავთ...

- "პრიბრამის" მარცხენა მცველი, 32 წლის მცველი მიხალ ლეშაკი მომეწონა. ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად თამაშობს და გოლების გატანასაც ახერხებს...

ჩემი ვაჟის "მლადას" თამაშიც ვნახე "ლიბერეცთან", 4:0 მოიგეს. "მლადაში" ფორვარდები პეცკა და კისელა მომეწონა, მაგრამ მათი ფასი მილიონ ევროს აღემატება და ამ ფეხბურთელებს ცხადია ვერ შევწვდებით.

- "დინამოში" ლეშაკის გამოჩენას ხომ არ უნდა ველოდოთ?

- ალბათ კი. ვფიქრობ, ეს მცველი გერმანულ შეკრებაზე შემოგვიერთდება. თუმცა საკითხი ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. გერმანულ შეკრებაზე ყველა ახალ ფეხბურთელს დავაკვირდებით და გუნდში მათი დარჩენა-არდარჩენის საკითხსაც შესაბამისად გადავწვეტთ.

- სანდრო იაშვილის გადაბირება რამდენიმე უცხოურ კლუბს სურს. მასზე რას გვეტყოდით?

- იაშვილი ჩინებული ფორვარდია და ასეთი დონის ფეხბურთელს ნებისმიერი კლუბი ისურვებდა. ბუნებრივია, მისი შენარჩუნება გვინდა, მაგრამ ფეხბურთელის ინტერესებიც გასათვალისწინებელია.

- სხვამ ვინ შეიძლება დატოვოს კლუბი?

- კარგი ფეხბურთელები არიან ნერგაძე და ნოზაძე, თუმცა მათაც სურთ წასვლა და როგორც ჩანს, სხვა კლუბებში გააგრძელებენ კარიერას.

- გუნდში სამი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს. კამერუნელ ფორვარდ რეიმონდ უეკუუზე, ოლეგ გველესიანსა და ვალტერ ხორგუაშვილზე რას გვეტყოდით?

- ჯერ მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაზე ვაკეთებთ აქცენტს და ვარჯიშებზე მხოლოდ 20 წუთით ვათამაშებ ფეხბურთელებს. ასე რომ, ჯერჯერობით, ახალ მოთამაშეებზე სრული წარმოდგენა არ მაქვს. როგორც მითხრეს, გველესიანი კარგი ფეხბურთელია. კარგად დამიხასიათეს ხორგუაშვილიც, კამერუნელი ფორვარდი ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა და მასაც კარგი დოსიე აქვს. თუმცა სანამ მათ თამაშებზე არ დავაკვირდები, იქამდე, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი.

- დაბოლოს, გერმანიაში რა ამპლუის ფეხბურთელებს ელით?

- მარცხენა მცველს, ფორვარდსა და ერთ უნივერსალს, რომელიც გუნდის შემტეგ პოტენციალს გააძლიერებს.

აქვე "დინამოსთან" დაკავშირებულ ერთ სიახლესაც გეტყვით. თბილისის "დინამოს" აკადემიის უფროსი ასაკის (1989 წელს დაბადებულებმა) გუნდმა სუპერთასი რომ მოიპოვა, უკვე გაცნობეთ. მას მერე სუპერთასი აკადემიის კიდევ ორმა გუნდმა მოიგო.

1990 წელს დაბადებულებმა ქუთაისის "კოლხიდა" 13:0 დაამარცხეს. გუშინ კი 1992 წელს დაბადებულთა გუნდმა, 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი 2:0 დაამარცხა.

დავით ცაბაძე

შედეგი არ არის და თავის მართლების უფლება არ გვაქვს

პირველი გვერდიდან

- ლუკა ტონი და ფრანკ რიბერი... ასეთი მოთამაშეების ყიდვა "შალკეს" არ შეუძლია?

- მას შემდეგ, რაც "შალკეს" სპონსორი "გაზპრომი" გახდა, კლუბს ყველანაირი ფინანსური პრობლემა მოხსნილი აქვს. "შალკეს" უპრობლემოდ შეუძლია ასეთი დონის ფეხბურთელების შეძენა, მაგრამ სხვა საქმეა, რამდენად უღირს ეს კლუბს. მიუხედავად იმისა, რომ "შალკე" საკმაოდ შეძლებული კლუბია, "ბაიერნზე" მეტი ფული მაინც არ აქვს.

- როგორ ფიქრობ, ვინ იყო გასულ სეზონში ბუნდესლიგის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი?

- ჩვენი გოლკიპერი მანუელ ნოიერი ბუნდესლიგის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს, მარსელო ბორდონი საუკეთესო მცველად, კარგად ჩაატარა სეზონი "შალკეს" ფორვარდმა კევინ კურანიმაც, რომელმაც 15 გოლი გაიტანა. სხვა გუნდებიდან გამოვარჩევდი დიეგოსა და ტორსტენ ფრინგსს, შტუტგარტელ მარიო გომესს, "ბოხუმის" ფორვარდ თეოფანოს გეკასს, რომლისგანაც ბუნდესლიგის ბომბარდირობას არავინ ელოდა...

- რამდენიმე შენი თანაგუნდელისგანაც, ალბათ, გაცილებით მეტს ელოდნენ...

- მასეა და მეც ასეთებს მივეკუთვნები, საკუთარი თავისგანაც მეტს ველოდი, უკეთესი თამაში იყო მოსალოდნელი რაფინიასა და ლინკოლნისგანაც... ესეც არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, ჩემპიონები რომ ვერ გავხდით... და კიდევ ის, რომ კურანის გარდა, "შალკეს" სხვა ფორვარდები მაღალი შედეგიანობით ვერ გამოირჩნენ. ისიცაა, რომ გასულ ბუნდესლიგაში სამი გოლი გავიტანე, "შალკეს" ნახევარმცველებიდან ყველაზე მეტი, სხვა შუახაზელებსაც უკეთესი შედეგიანობა მოეთხოვებოდათ. საკუთარი თავით ძალიან უკმაყოფილო ვარ. იმდენი პრობლემა, რაც გასულ სეზონში მქონდა, მგონი, მთელი კარიერის განმავლობაში არ მქონია. მეორე წრის დასაწყისში, "აინტრახტთან" მატჩის დროს, ტრავმა მივიღე, ფეხის თითები დავიზიანე. მომდევნო შეხვედრაში არ უნდა მეთამაშა, მაგრამ... ვითამაშე და ტრავმა გავირთულე. ეს ექიმების შეცდომის გამოც მოხდა. ოპერაცია დამჭირდა და 4-5 თამაში გამოვტოვე, ფორმიდან ამოვვარდი, შემდეგ კუნთი დამეჭიმა, მერე კიდევ პატარ-პატარა ტრავმები და ბუნდესლიგის ბოლო მატჩებშიც ნაკლებად მიწევდა თამაში.

- კობიაშვილისგან მეტს ელოდნენ ეროვნულ ნაკრებშიც. "შალკესა" თუ "ფრაიბურგში" არც თუ ცოტა გამორჩეულად კარგი მატჩი გაქვს ჩატარებული. ეროვნულ ნაკრებში კი თითქოს გიჭირს ისე თამაში, როგორსაც შენგან მოითხოვენ...

- ქართველი გულშემატკივრის კარგად მესმის. როცა წამყვანი ევროპული ლიგის წამყვან გუნდში თამაშობ, შენგან ნაკრებში გამორჩეულ თამაშს მოითხოვენ. ეროვნულ გუნდში კონკრეტული დავალება მაქვს, უფრო დაცვითი ფუნქცია მაკისრია, ვიდრე თამაშის გამწვავება. ნაკრებში ჩატარებული ბოლო მატჩებით მეც უკმაყოფილო ვარ და კრიტიკას არ გავურბივარ. კრიტიკის გარეშე ფეხბურთი არ არსებობს.

- ზოგ სპეციალისტს, და ნაკრების ზოგიერთ მოთამაშესაც, მიაჩნია, რომ კობიაშვილმა ეროვნულ ნაკრებში მარცხენა ნახევარმცველად უნდა ითამაშოს და არა ნახევარდაცვის ცენტრში. რას იტყოდი ამაზე?

- როცა ხან ერთ პოზიციაზე თამაშობ და ხან მერეზე, ეს იოლი არ არის. "შალკეში" სამი ცენტრალური ნახევარმცველით ვთამაშობთ, მე მარცხენა ვარ, თუმცა მარცხენაფლანგელი არ მეთქმის. თუ ასარჩევად მექნება, რა თქმა უნდა, მირჩევნია, რომ ნაკრებშიც ამავე პოზიციაზე ვითამაშო. ასეთ დროს უფრო შემიძლია შეტევაში წასვლა, ხოლო, როცა ნაკრებში ორი ცენტრალური ნახევარმცველით ვთამაშობთ და ერთ-ერთი მე ვარ, შეტევაში წასვლა სარისკოა, რადგან ასეთ შემთხვევაში, ნახევარდაცვის ცენტრში მხოლოდ ერთი კაცი დარჩება.

- შოტლანდიასთან მატჩში ისე მოხდა, რომ მეორე ტაიმში ნახევარდაცვა პასიურობდა და მთელი სიმძიმე დაცვას აწვებოდა. იმ მომენტში, კობიაშვილისგან, ალბათ, განსაკუთრებით იყო მოსალოდნელი ლიდერის თვისებების გამომჟღავნება, თუმც ასე არ მოხდა...

- მაშინ ნამდვილად არ ვიყავი ასი პროცენტით მზად. იმ მატჩის ვიდეოჩანაწერს ვუყურე და ჩემი ათასი შეცდომა დავინახე. მეორე ტაიმში მართლაც უფრო აქტიურები უნდა ვყოფილიყავით. საქართველოს ნაკრებში ყველაფერი ორ-სამ ან ოთხ ფეხბურთელზეა აწყობილი და ეს ძალიან ცუდია. ფეხბურთში ისეა, რომ ყოველ თამაშში ვერ ხარ მაქსიმალურად მზად, ყოველ თამაშს მაღალ დონეზე ვერ ითამაშებ, ყოველთვის არ არის შენი დღე და ასეთ დროს გჭირდება ის, ვინც დაგეხმარება, ვინც ამ მომენტში შენზე კარგად იქნება მზად, იმ კლუბში თამაშობ თუ ამ კლუბში, მოედანზე ყველა ერთია და დახმარება ყველას ჭირდება.

- ამასწინათ, შოთა არველაძემ გვითხრა, კლაუს ტოპმიოლერს სიმკაცრე აკლიაო. ეთანხმები ამ მოსაზრებას?

- საქართველოს ნაკრებში სიმკაცრე ნამდვილად საჭიროა, და ქართველებს, საერთოდ, სიმკაცრე სხვა სფეროებშიც არ გვაწყენდა. დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველოს ნაკრებს კარგი მწვრთნელი ჰყავს, მაგრამ მთავარი შედეგია და როცა ეს არ ჩანს, თავის მართლების უფლება არ გვაქვს.

- წელან თქვი, სანაკრებო თამაშისთვის ასი პროცენტით არ ვიყავი მზადო. ეს სხვა ფეხბურთელსაც უთქვამს. მაგალითად, ზურაბ ხიზანიშვილიც არ იყო ოპტიმალურ ფორმაში, მაგრამ ლიტვასა და საფრანგეთში მაინც ითამაშა, რადგან ჩვენი ნაკრები ღარიბია ევროპულ დონის მოთამაშეებით. თუმც ასი პროცენტით როცა არ ხარ მზად, ესეც თავისას შვრება. იქნებ ჯობს, ასეთ დროს ფეხბურთელმა უარი თქვას ნაკრებში თამაშზე?

- ჩემთვის, ეროვნული ნაკრები უმთავრესია, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კლუბი და დარწმუნებული ვარ, ასეა საქართველოს ნაკრების ყველა ფეხბურთელი. შემიძლია, დავურეკო მწვრთნელს და ვუთხრა, რომ ასი პროცენტით მზად არ ვარ, ტრავმაც მაწუხებს და ვერ ჩამოვალ-მეთქი. და მერე ტელევიზორში ვუყურო, როგორ ნააგებს ჩვენი გუნდი, მე კი ვთქვა, რომ რაც მოხდა, ჩემი ბრალი არ არის? ნაკრები რომ მიყვარს, ამიტომ არ ვაკეთებ ამას, თორემ ნამდვილად არ არის სასიამოვნო 6 საათი თვითმფრინავში ჯდომა, წაგება, მერე კი ორ დღეში კლუბში რომ გიწევს თამაში. ნაკრებში იმიტომ მოვდივარ, რომ სულ უკეთესობის იმედი მაქვს, და იმისთვისაც, რომ რაც თამაშები ჩავაგდე, ასე ვთქვათ, გამოვისყიდო...

- ამბობ, უკეთესობის იმედი მაქვსო და იქნებ, ისიც გვითხრა, რას ეყრდნობა შენი ოპტიმიზმი? ფაქტია, რომ ნაკრების ფეხბურთელებს შორის მკვეთრი სხვაობაა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოთამაშე ფეხბურთელები ტაქტიკურად და სხვა კომპონენტებშიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან სხვებს. აღარც ისეთი ახალგაზრდები მოდიან, თემურ ქეცბაიას, გიორგი ქინქლაძის, გოჩა ჯამარაულისა თუ შოთა არველაძის დარი ტალანტი რომ ეტყობოდეთ...

- ის ფეხბურთელები, რომლებიც კარგ ევროპულ გუნდებში არ თამაშობენ, უკვე კარგა ხანია, ნაკრებში არიან, მაგრამ დაძაბულობისგან მაინც ვერ გათავისუფლდნენ, ნაკლებად ცდილობენ საკუთარ თავზე ინიციატივის აღებას, სულ სხვას შეჰყურებენ... მათგან, ასე ვთქვათ, თავხედი არავინ გამოდგა, არადა, მოედანზე თავხედობა, რა თქმა უნდა კარგი გაგებით, აუცილებელია. ქეცბაია, ქინქლაძე, ჯამარაული, ცხადაძე, არველაძე... ბედნიერი ვარ, რომ ამ თაობასთან მომიწია ნაკრებში თამაში. მაღალი შედეგი ნაკრებს მაშინაც არ ჰქონდა, მაგრამ ახლა იმასაც ვერ ვახერხებთ, რომ კარში დავარტყათ. ფეხბურთელი რომ ნაკრებს გამოადგეს, ჯერ თავის კლუბში უნდა გახდეს წამყვანი მოთამაშე და მერე იმას დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება, რომელ ქვეყანაში თამაშობ.

- ახალი თაობიდან ერთ-ერთი გამორჩეულია თბილისის "ლოკომოტივის" მოთამაშე ლევან ყენია, რომელსაც "შალკეში" გაუწიე რეკომენდაცია. რა პერსპექტივაა საიმისოდ, რომ ყენია შალკელი გახდეს?

- "შალკეს" ძალიან უნდა ყენიას აყვანა. გუნდის მთავარ მწვრთნელს მირკო სლომკას მისი თამაში არ უნახავს, მაგრამ ინფორმაცია აქვს. ყენიას დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია, თუმც მისი ტრანსფერი ამ ასაკში პრობლემაა, უცხოელს ამის უფლება არ აქვს... მაგრამ თუ ყენია გერმანიაში ისწავლის, შესაძლოა, გამონაკლისი დაუშვან. თუ ფორმალობები მოგვარდება, ყენიას "შალკეს" 19-წლამდელთა გუნდში აიყვანენ. შარშან, ეს გუნდი გერმანიის ჩემპიონი გახდა და იქედან, პირველ გუნდში ოთხი ფეხბურთელი გადმოიყვანეს.

- დაბოლოს, როგორია ლევან კობიაშვილის დღის რეჟიმი გერმანიაში?

- დიუსელდორფში ვცხოვრობ, შვილიც იქ დამყავს ინგლისურ სკოლაში. ჩემი სახლიდან "აუფ შალკემდე" მანქანით ოც წუთში მივდივარ. დილის 9 საათზე "შალკეს" ბაზაზე ვარ და 13 საათზე ვთავისუფლდები. შემდეგ, ჩემი 8 წლის ნიკუშა საფეხბურთო სკოლაში მიმყავს. საღამოთი თანაგუნდელებთან ვარ, კურანისთან და კრსტაიჩთან ოჯახებით ვმეგობრობთ და საერთოდაც, "შალკე" ძალიან მეგობრული კოლექტივია...

www.kazbegi.com

გაზსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპი

ვაკეში ემზადება

ბორჯომიდან მატებაა: კოშკაძე და ჯიქია

რუსთავის "ოლიმპი" სეზონისთვის ემზადება. დასვენებულ და მოდუნებულ ფეხბურთელების ტონუსში მოსაყვანად, **ვარლამ კილასონიამ** ვაკის პარკში კროსები მოუწყო.

საქართველოს დატოვება "ოლიმპის" რამდენიმე ფეხბურთელს სურს, მაგრამ ყველა მათგანი ისევ გუნდში ვარჯიშობს. **გიორგი ონიანმა** დაგვიდასტურა "კარლ ცაისის" მიწვევა, მაგრამ ზუსტი ინფორმაცია ერთ კვირაში მეცოდინებაო. მასთან ერთად, მეორე ბუნდესლიგის გუნდში გადაყვანით **გიორგი სეთურიძესაც** აიმედებენ და მისგანაც იგივე პასუხი შევიტყვეთ.

ჯერჯერობით, სიახლე "ბორჯომიდან" ნახევარმცველების, **შოთა ჯიქიასა** და **ალეკო კოშკაძის** გამოჩენაა. ჯიქია რუსთაველებთან ორი დღის წინათ გამოჩნდა, გუშინ კი უკვე საერთო ჯგუფში ივარჯიშა. ალეკო კოშკაძე კი ოლიმპელი კვირის წინათ გახდა. სავარაუდოდ, ის **რეზო გეწაძის** შემცვლელად მოიაზრება, რომელიც არკვევს, რიგის "სკონტოს" დაუბრუნდება (რომელთანაც კონტრაქტი აკავშირებს) თუ საქართველოში დარჩება.

ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა თავდამსხმელ **გიორგი კახელიშვილის** ბედი. მას რამდენიმე მიწვევა ჰქონდა, მათ შორის აზერბაიჯანიდანაც, მაგრამ კარიერის ასანყობად ეს გზა მიუღებლად მიაჩნია და საკმაოდ სარფიან წინადადებაზე უარი თქვა. ნებისმიერ შემთხვევაში, მან ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე "ოლიმპში" უნდა ითამაშოს.

მახვილაძე უკრაინიდან ჩამოვიდა, მაგრამ დაღლილია და კილასონიას თქმით, ისვენებს. "ოლიმპის" კაპიტანს არ გადაუწყვეტია, სად ითამაშებს. ის ორი კვირის წინათ ლუგანსკის "ზარიაში" გასინჯეს და ახლა პასუხს ელის. მიხოს რუსთაველებთან კონტრაქტი დაუსრულდა და ახლის გაფორმებაზე ჯერ ხელმძღვანელობას არ დალაპარაკებია.

მახვილაძისგან განსხვავებით, ვარჯიში განაახლეს ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა გიორგი კახელიშვილმა და **გიორგი ნავალოვსკიმ**, რომლებსაც გახანგრძლივებული სანაკრებო სეზონის გამო, კილასონიამ ერთი კვირით გაუგრძელა დასვენება.

ახლა რუსთაველები **გია გურულის** მიერ შერჩეულ ოთხეულსა და სამ ლიბერიელ მოთამაშეს ელიან. რუსული გამოთქმა ხომ იციათ "კოტ ვ მეშკე", ისეა მათი საქმე ანუ რეალურად, მათ შესაძლებლობაზე მწვრთნელს წარმოდგენა არ აქვს. ამიტომაც სურს, რომ დროულად ნახოს საქმეში და გაარკვიოს, რომელი მათგანის იმედი უნდა ჰქონდეს.

"ოლიმპში" ვარჯიშობს აზერბაიჯანის ექს-ჩემპიონ "ბაკის" თავდამსხმელი **გია მეგრელაძეც**, მაგრამ მისი დამატება რუსთაველებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ. აზერებმა ქართველ თავდამსხმელში დიდი თანხა გადაიხადეს და იოლად ვერ გაუშვებენ.

მერაბ მამულაშვილი

მეგრელაძე ოლიმპში ვარჯიშობს

ვიტ ჯორჯია

მზადება კრებით დაიწყო

თბილისის "ვიტ ჯორჯიას" გუშინ დაუმთავრდა შვებულება - ვიტელები სამსახურში გავიდნენ, თუმცა მხოლოდ სათათბიროდ - "ვიტ ჯორჯიაში" კრება გაიმართა და გაირკვა, რომ გუნდი ორმა ფეხბურთელმა დატოვა - **თენგიზ კობიაშვილმა** და **ოლეგ გველესიანმა**.

გველესიანი უკვე თბილისის "დინამოში" ვარჯიშობს, მას "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტია. რაც შეეხება კობიაშვილს, მას ტრავმების გამო წინა სეზონი, ფაქტობრივად, გაუცდა და თუ რამელ გუნდში აპირებს გადასვლას, ჯერჯერობით, უცნობია.

"ვიტ ჯორჯია" დღეიდან დაიწყებს უბურთოდ ვარჯიშს. ვიტელები კუსტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიდენენ ოფლს და რამდენიმე დღეში მცხეთის "არმაზზე" შეუდგებიან ბურთიანად წვრთნას.

"ვიტ ჯორჯიას" უცხოური შეკრებაც ექნება - 16-დან 30 ივლისამდე **რამაზ მუმლაძის** გუნდი უკრაინაში, სიმფეროპოლში მიემგზავრება.

ვიტელები უკრაინაში წასვლამდე რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს გამოცდიან ვარჯიშებსა და საკონტროლო მატჩებში.

დავით თავართქილაძე

ვინ გახდება პრეზიდენტი?

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები 10 ივლისს დაინიშნა. როგორც შევიტყვეთ, კანდიდატურა ჯერ მხოლოდ მოქმედმა პრეზიდენტმა **ნუკრი კაკილაშვილმა** წარადგინა.

ჩვენი ინფორმაციით, კანდიდატურა, შესაძლოა, ორმა ვეტერანმა ფეხბურთელმა, **თენგიზ სულაქველიძემ** და **გელა კეტაშვილმაც** წამოაყენონ. არჩევნებში ხმის უფლება თბილისის ფედერაციის 27 სუბიექტს გააჩნია.

დილა

ვცდილობთ, უმაღლესში ადგილი შევინარჩუნოთ

ბორის „დილა“, მიუხედავად იმისა, რომ გასული სეზონის შედეგების მიხედვით უმაღლესი ლიგის მიღმა აღმოჩნდა და ლოგიკურად პირველ ლიგაში უნდა ითამაშოს, ბედს არ ეგუება. შიდა ქართლელებს არც ჩემპიონატის დასრულებისას დაუშალავთ, რომ ქვეყნის ელიტურ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას შეეცდებოდნენ... მიზანი არც ამ ეტაპზე შეუცვლიათ, თუმცა დიდი მცდელობის მიუხედავად, ჯერჯერობით, მათი საქმე გაურკვეველია და გუნდის ხელმძღვანელობის გათვლებით, დაახლოებით ათიოდ დღეში ყველაფერს ნათელი უნდა მოეფინოს. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ გუნდის უფროსს ვასილ ტლაშაძეს.

- ბოლო ხანს გუნდისთვის აუცილებელი სახსრების მოსანახად ადგილობრივი ხელისუფლების დახმარების იმედი გქონდათ და საამისოდ მოლაპარაკებებსაც მართავდით. თუ გადაწყდა რამე?

- ჯერჯერობით, ყველაფერი ბოლომდე არაა გადაწყვეტილი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ურთიერთობაზე მოდის და თანადგომისთვის გვარიანადაა მონდომებული. რამდენიმე დღეში გვეცოდინება საბოლოო პასუხი.

- თუ რეგიონის მმართველებმა უარი განაცხადეს, რა ელის „დილას“?

- ვითარება ისეთია, არ მგონია ვერ შევთანხმდეთ.

- როდის შეიკრიბება გუნდი და შემადგენლობაში თუ არის რამე ცვლილებები?

- 25 ივნისს შევიკრიბებით გორში. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, შესაძლოა ქალაქგარეთაც მოვახერხოთ შეკრება. მწვრთნელები აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს და მათ შეცვლას არ ვფიქრობთ. რაც შეეხება გუნდის შემადგენლობას, იგი თითქმის არ შეცვლილა. წავიდნენ ის ფეხბურთელები, რომლებიც იჯარით გვყავდა მოწვეული. ესენია: ბორის გონჩაროვი, ამირან ყველაშვილი და რევაზ თევდორაძე. აღსანიშნავია, რომ ეს ფეხბურთელები, თუ ჩვენი უმაღლეს ლიგაში დარჩენა გახდა შესაძლებელი, გუნდში დაბრუნებას გეგმავენ.

- უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხს რაც შეეხება...

- უმაღლეს ლიგაში დარჩენის შესახებ ჩვენი სურვილის თაობაზე ყველასთვის ცნობილია. რასაკვირველია საქმის კურსშია ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაც. მოლაპარაკება ამ მიზეზით გვქონდა საჩხერის „ჩიხურასთან“. რა შედეგს მივიღებთ აქედან, ესეც რამდენიმე დღეში უნდა გადაწყდეს.

- „დილა“ რომ პირველ ლიგაში აღმოჩნდეს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ხელს აიღებს ფეხბურთზე?

- რასაკვირველია არა, უმაღლესში ბევრად უფრო სერიოზული, ყოველმხრივ მოწესრიგებული კლუბი იქნება „დილა“.

- სტადიონის რეკონსტრუქციას ისევ აგრძელებთ?

- ვაგრძელებთ და სტადიონს ყველა შემთხვევაში საუკეთესოდ გავაკეთებთ. მოედანს ახლაც ვანესრიგებთ. დარჩენილი ინდივიდუალური სავარძლების დამონტაჟება გრძელდება. ახლა ჩვენი წარმომადგენლები დედაქალაქში გაემგზავრნენ, უკრაინიდან ჩამოტანილი ტაბლოს გორში გადმოსატანად. სტადიონი უდაოდ კარგად მოეწყობა მიუხედავად იმისა, თუ რომელ ლიგაში იასპარეზებს „დილა“. გვაქვს პრეტენზია თენგიზ ბურჯანაძის არენამ უეფას ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 255 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უსწრაფესი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდგა ნებისმიერ გაუსვლელად



სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

რინატ დასაევის იუბილე

ჩივაძის 11 წუთი

13 ივნისს, მოსკოვში, დიდი ზარზეიმით ჩაიარა **რინატ დასაევის** 50 წლის იუბილემ. ლეგენდარული რუსი მეკარის დასაფასებლად რუსეთის დედაქალაქს ახლო წარსულში ცნობილი ვარსკვლავები ეწვივნენ, რომლებიც „ლუჟნიკებზე“ ყოფილი სსრკ-ის ვეტერანთა ნაკრებს შეხვდნენ. ორგანიზატორთა შიში არ გამართლდა და სავიზო პრობლემები არავის შექმნია, მატჩზე მიწვეული ერთადერთი ქართველი, **ალექსანდრე ჩივაძეც** მოსკოვში დაუბრკოლებლად ჩაფრინდა.

როგორც მსგავსი ხასიათების შეხვედრებს სჩვევია, თამაში უხვგოლიანი ფრით, 5:5 დასრულდა. ჩივაძე საბჭოელთა მწვრთნელმა **ნიკიტა სიმონიანმა** ძირითად შემადგენლობაში დააყენა, შემდეგ კი როგორც ჩანს, სსრკ-ის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტანი გადაიღალა და უკვე მე-11 წუთზე შეცვალეს. მსოფლიო ნაკრებს **მიშელ იდალგომ** უთავკაცა.

აქვე გუნდების შემადგენლობას გადავავლოთ თვალი.

სსრკ-ის ვარსკვლავები: **დასაევი (36. ვ. ჩანოვი), ჩივაძე (11. ტუკმანოვი, 46. ხიდიატულინი), ხიდიატულინი (23. ალეინიკოვი), რომანცევი (9. დემიანენკო, 53. მოროზოვი), პოზდნიაკოვი, შავლო (46. გესი), გლადილინი (16. მიხაილიჩენკო), ბურიაკი (67. მირზოიანი), ჩერენკოვი (36. გავრილოვი), იარცევი (36. ბოროდიუკი), როდიონოვი (36. ანდრეევი).**

მსოფლიო ვარსკვლავები: **სუბისარეტა (36. დასაევი, 46. სუბისარეტა), გერეტსი (36. დე აგოსტინი), ე. კუმანი (36. კოლე), შტილიკე (36. პონტე), ბრიგელი (36. დე ლა ფუენტე, 63. ედერი), ჟუნიორი (36. დე ნაპოლი), ბალაკოვი (36. ალექსანდროვი), აბედი პელე (24. ედერი, 36. კ. სუნი), სინიორი (36. ვინტერი), რუფერი (36. გ. ჰაჯი), ვეა (36. პოლსტერი).**

გოლები: 0:1 **აბედი პელე** (2), 1:1 **ბურიაკი** (4, პენ.), 2:1 **როდიონოვი** (13), 2:2 **რუფერი** (15, პენ.), 2:3 **რუფერი** (18), 2:4 **ვეა** (20), 3:4 **ბოროდიუკი** (51), 3:5 **პოლსტერი** (54), 4:5 **ბოროდიუკი** (55), 5:5 **ბოროდიუკი** (65)

მატჩს 7 000 გულშემატკივარი დაესწრო, თამაშის შემდეგ, მის მონაწილეებს სამახსოვრო ჯილდოები გადაეცათ, საღამო კი ბანკეტით დასრულდა.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კალაძე მაისში მეორე პოსტსაბჭოელია

რუსულმა "სპორტ-ექსპრესმა" მაისის საუკეთესო პოსტსაბჭოელი ფეხბურთელი გამოავლინა. 63 ქულით პირველ ადგილზე რუსეთის ნაკრებისა და "სევილიას" თავდამსხმელი **ალექსანდრ კერჟაკოვი** გავიდა, მეორეზე კი საქართველოს ნაკრებისა და "მილანის" მცველი **კახა კალაძე** - 49 ქულით. მას რვა ქულით მოსკოვის ლოკომოტიველი **დინიარ ბელიალეტდინოვი** ჩამორჩა.

თხუთმეტი პოსტსაბჭოური ქვეყნის სპორტულმა გამოცემებმა ქართველ ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგაზე გამარჯვება დაუფასეს. მართალია, 23 მაისს კახამ "ლივერპულის" წინააღმდეგ მატჩში მცირე დრო გაატარა მოედანზე, მაგრამ თავად ფაქტიც მრავლისმეტყველია.

კალაძე პირველ ადგილზე გავიდა მეორე ნომინაციაში, რომლის მიზანიც თვის მოვლენის გამორჩევაა. კახა პირველი პოსტსაბჭოელი ფეხბურთელია, რომელმაც ორჯერ აღმართა ლიგის თასი.

"ჩემპიონთა ლიგის მატიანეში კახა კალაძემ კიდევ ერთხელ დატოვა საკუთარი სახელი. ახლა ქართველის კარიერის პოსტსაბჭოელი ფეხბურთელების უდიდეს ნაწილს შეშურდება, რადგან მარტო ლიგის ფინალში გასვლაც კი ფეხბურთელის სატრანსფერო ფურცლის ხარისხიანობის განმსაზღვრელი ნიშანია. გამარჯვება და თანაც, არა პირველად, უკვე ენციკლოპედიის ფურცლებია" - წერს "სპორტ-ექსპრესი".

საერთო ჩათვლაში, კალაძე ჯერ მხოლოდ მერვე ადგილზეა - მან 49 ქულა დააგროვა. აქაც კერჟაკოვი ლიდერობს. კახას ყოფილი თანაგუნდელი **ანდრეი შევჩენკო** 172 ქულით მეორეზეა, "ნიურნბერგის" თავდამსხმელი რუსი **ივან საენკო** მესამეა - 104 ქულა.

ქართველებიდან ათეულში მხოლოდ შოთა არველაძე (79 ქულა, მეოთხე ადგილი) და კახა კალაძე მოხვდნენ.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

პაოკი, პანიონიოსი, თუ ისევ გერმანია?

ლევან ცქიტიშვილს საბერძნეთში საქმეები ისე ვერ აეწყო, როგორც ისურვებდა. პირველ წრეში უთამაშებელს, კერ კიდევ ზამთარში ჰქონდა გადაწყვეტილი კლუბის გამოცვლა, მაგრამ სეზონის ბოლომდე "პანიონიოსში" მოუწია დარჩენა.

სეზონის დასრულებასთან ერთად, კიდევ ერთხელ წამოიწია ცქიტიშვილის ტრანსფერის თემამ. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით ფეხბურთელს კვიპროსის თასის მფლობელ გუნდში, **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისში" უნდა გაეგრძელებინა კარიერა, თუმცა ცნობა თავად ფეხბურთელმა უარყო.

"არა, ასე ნამდვილად არაა საქმე. თემურ ქეცბაიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ "ანორთოსისში" გადასვლაზე, ამ ეტაპზე ნამდვილად არ ვფიქრობ...

"პანიონიოსს" არ უნდა ჩემთან განშორება, ბერძნები კონტრაქტის გაგრძელებას მთავაზობენ.

"პაოკის" ვარიანტი? ტრანსფერზე ჩემი აგენტი მუშაობს და ამ გუნდის ინტერესის შესახებ მეც მსმენია. თუმცა ერთია ინტერესი და მეორე, კონკრეტული საუბარი. ვნახოთ, რა გაგრძელებას პოვებს ეს ინტერესი.

თუ გერმანულ ბუნდესლიგაში მომიწევს კარიერის გაგრძელება, ამას რა აჯობებს. ვნახოთ, ჩემი საკითხი ივნისის ბოლომდე უნდა გაირკვეს", - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში ცქიტიშვილმა .

დავით ცაბაძე

P.S. გუშინ ბერძნულმა წყაროებმა, კლუბის ოფიციალურ საიტზე დაყრდნობით გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ცქიტიშვილი "პანიონიოსში" რჩება, ოღონდ ნაკლებ ხელფასზე.

სირბილაძე სვანაძესთანაა

ირაკლი სირბილაძე

ტანმაღალი ფორვარდი **ირაკლი სირბილაძე** გასულ ზამთარს გადავიდა თბილისის "დინამოში". ჩემპიონატიც იქვე ჩაამთავრა, მაგრამ უმთავრესად მეორე გუნდში უწევდა თამაში. ამ ცოტა ხნის წინათ კი სირბილაძემ შვედეთს მიაშურა და **ზაურ სვანაძის** გუნდში, GMFF-ში ჩაირიცხა. სხვათა შორის, ცნობა შვედური კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა. უფრო მეტიც, **ლაშა კირვალიძისა** და რამაზ სვანაძის შემდეგ, ირაკლი სირბილაძე ამ კლუბის მესამე ქართველია. ახალ კლუბში დებიუტი ფორვარდმა გოლით აღნიშნა.

დავით ცაბაძე

მაკელელემ მუჯირის ვაჟი გააახარა

დათო მუჯირი საფრანგეთი-საქართველოს ნაკრების მატჩის შემდეგ სამარაში კლუბს გულდანყვეტილი დაუბრუნდა, მაგრამ პატარა დათუნა მუჯირი უზომოდ გახარებული დარჩა. საქართველოს ნაკრებისა და სამარის "კრილია სოვეტოვის" ფლეიმეიქერს წასვლამდე ვაჟმა **კლოდ მაკელელეს** მაისურის ჩატანა სთხოვა.

მატჩის შემდეგ, მუჯირს მაისურა სწორედ ფრანგმა საყრდენმა ნახეკვარმცველმა გაუცვალა. *"ეს შემთხვევით მოხდა, არადა, ბავშვს სწორედ მაკელელეს მაისურის მორგება სურდა და ძალიან გახარებულია,"* - უთხრა მუჯირმა "სპორტ-ექსპრესს".

იქვე მუჯირმა ბოლო ტურში საშინაო მარცხზეც ისაუბრა და კრასნოდარის "ყუბანთან" 2:3 წაგება უიღბლობით ახსნა. სამარელები 2:0 იგებდნენ, მაგრამ სოლიდური უპირატესობა მეორე ტაიმში წყალს გაატანეს და თავქარიანობით, პრემიერლიგის დებიუტანტები უზომოდ გაახარეს.

სეზონი "კრილიამ" საკმაოდ ცუდად დაიწყო და აუტსაიდერებშიც მოხვდა. მაშინ მთავარი მწვრთნელი **სერგეი ობორინი** თავდამსხმელებით, მათ შორის ქართველითაც, უკმაყოფილო იყო და საჯაროდ გააკრიტიკა - ფეხბურთელები "მანჩესტერსა" და "მილანში" თუ იზრდებიან, ჩვენებს რა დაემართათ, ტოპიჩსა და მუჯირს პროგრესს ვერ ვატყობო.

ეს ის პერიოდია, როდესაც მუჯირს რუსეთში ვიზა დაუგვიანეს და ისედაც ახალტრავმამორჩენილი, ერთი კვირა ფორმიდან ამოვარდა, სამარელებმა კი თამაშები ჩააფლავეს.

თუმცა, ნელ-ნელა მდგომარეობა ქართველმა ლეგიონერმაც გამოასწორა და "კრილიამაც". დათო ისევ გუნდის ლიდერია, გუნდი კი ისე წარმატებით ათამაშდა, რომ ლიდერთა ტრიოს - ცსკა, "სპარტაკი", "ზენიტი" - მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა.

მერაბ მამულაშვილი

ჯაკობია ისევ გმირია

ტრავმის შემდეგ, **ლაშა ჯაკობიამ** ფორმის აღდგენა ისევ მოახერხა და კვლავ კიევის "არსენალის" ლიდერია. მან წინა, 28-ე ტურში ლვოვის "კარპატისთან" მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა. უკრაინული "სპორტ-ექსპრესის" მკითხველებმა ტურის გმირად კიევის "დინამოს" თავდამსხმელი, **კლებერი** დაასახელეს (44,8%), მეორეზე კი ჯაკობია გავიდა (21,4%).

მერაბ მამულაშვილი

სიმურგი გვესტუმრება

ზამთარში, თბილისში, ერთბაშად ორი აზერბაიჯანული გუნდი, "სიმურგი" და "შაჰდაგი" ემზადებოდა. ეს უკანასკნელი უმაღლესი ლიგიდან გავარდა. რაც შეეხება "სიმურგს", მის მთავარ მწვრთნელ **რომან სიკორას** საქართველოში გატარებული სანვრთნელი ეტაპი მოსწონებია და ახალი სეზონისთვის ისევ ჩვენთან მოემზადება. თუმცა ამჯერად აზერები ბორჯომში დაბინავდებიან 20 ან 25 ივნისიდან და იქ ათი დღე გაჩერდებიან. ამ პერიოდში საკონტროლო მატჩებსაც გეგმავენ, მაგრამ ვისთან, ეს მალე გაირკვევა.

აზერბაიჯანელებმა ზამთარში თბილისის "მერანის" მცველი **ზურაბ შველიძე** გასინჯეს. მართალია, მაშინ ახალგაზრდა ფეხბურთელი არ აუყვანიათ, მაგრამ ახლა ისევ სურთ დაკვირვება და ის ბორჯომში გამოიძახეს.

მერაბ მამულაშვილი

თენგიზ სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია

აცხადებს
1990-2000 -წლებში
დაბადებულ ფეხბურთელთა
კონკურსს.
1990, 91, 92 და 93-წლიანებში
გამორჩეულები ჭაბუკთა
ლიგის გუნდში
ჩაირიცხებიან.

შერჩევა 25 ივნისიდან 30
აგვისტოს ჩათვლით
გაგრძელდება.

ტელეფონები:
52-60-01, 8-99-476727
მისამართი:
ლუბლიანას ქუჩა 19



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მართავს საფეხბურთო გალა-დაჯილდოების ცერემონიალს. ლაურეატები გამოვლენდებიან 11 ნომინაციაში. 2 მთავარი ნომინაციის მიხედვით დასახელდებიან საუკეთესო ლეგიონერი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მილება გაიმართება 2007 წლის 19 ივნისს 19:30 საათზე.

ბილეთის ფასი: პარტერი - 10 ლარი; ბალკონი - 5 ლარი.

საკონტაქტო ნომრები: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა. ტელ: +995 32 912671 ; +995 32 917126

დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურღულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მაშულის" ფეხბურთელ ვასილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.

ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.

იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

მილანი: 70 მილიონი გირვანქა რონალდინიოში!



რონალდინიო

ავტორიტეტული ესპანური გამოცემა "მარკა" სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით გვაუწყებს, რომ "მილანი" **რონალდინიოში** 70 (!) მილიონ გირვანქას იხდის. დაგვეთანხმებით, ძნელია ამის გააზრება და ასეც გვგონია, რომ ინფორმაცია რეალობისგან ნამეტანი შორსაა. თუმც რაკი იქაურ პრესაში დაიწერა, ვალდებულნი ვართ, საქმის კურსში ჩაგაყენოთ. "მარკას" ცნობით, **სილვიო ბერლუსკონის** მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, "მილანში" დიდ ბრაზილიურ ტრიოს მოუყაროს თავი: **რონალდო, კაკა** და ზედაც **რონალდინიო**. როგორია? ფანტასტიკური პროექტია, მაგრამ 70 მილიონი გირვანქა ერთ ფეხბურთელში, თუნდაც ეს რონალდინიო იყოს, სიგიჟეს ჰგავს. ფაქტი კია, რომ "რომსონერის" მთავარ მესვეურს ტიფოზებისთვის პირობა აქვს მიცემული - ახალი სეზონისთვის დიდ ტრანსფერს ვგეგმავთო. ბერლუსკონიმ ეს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვების შემდეგ თქვა. იმავეს ადასტურებდა **ადრიანო გალიანი** "გაძეტა დელო სპორტთან" გუშინდელ კომენტარშიც, მაგრამ მას გვარები არ დაუსახელებია.

აქ მხოლოდ გამორიცხვის მეთოდით შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ. როგორც იცით, "მილანს" ხელი მოეცარა **სამუელ ეტოოს** ფრონტზე. კამერუნელმა ფორვარდმა "კამპ ნოუზე" დარჩენა გადაწყვიტა. ეტოო კატეგორიულია და მის სიტყვებში დაეჭვება ძნელია. ალბათ, "როსონერი" ვერ იყიდის **ტიერი ანრისაც**, რომელიც "არსენალს" თითქოს ერთგულებას ეფიცება, მაგრამ თუ წასვლა მაინც გადაწყვიტა, უფრო დიდია შანსი, რომ "ბარსას" მიაშუროს...

დარჩა რონალდინიო. მის კატალონიურ კონტრაქტს ყავლი 2010 წელს გასდის. ჯერჯერობით, მხარეები ხელშეკრულების გაგრძელებაზე არ ფიქრობენ. რონალდინიოს იოლი სეზონი არ ჰქონია, ისევე, როგორც თავად "ბარსელონას". ერთი ხანობა, ბრაზილიელ ვარსკვლავს უთანხმოება ჰქონდა **ფრანკ რიიკაარდთან**. ახლა, ამას დაემატა კონფლიქტი თანაგუნდელებთანაც. საქმე ისაა, რომ დისკვალიფიცირებულმა რონალდინიომ უარი თქვა, დასწრებოდა კატალონიურ დერბის, რომელშიც "ბარსამ", ფაქტობრივად, ჩემპიონობა დაკარგა (2:2 ბოლო წუთზე გაშვებული გოლის გამო). გაღიზიანებულმა თანაგუნდელებმა რონალდინიოს ერთ-ერთ ვარჯიშზე "გაურჩიეს" საქმე. რონიმ სანვრთნელი ბაზა დატოვა. პრესამ კომენტარი ეტოოს სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

ესპანეთის ჩემპიონატი ამ უიქენდზე მთავრდება. ნაკლებია შანსი, რომ "ბარსა" ჩემპიონი გახდეს, რაც "ბლაუგრანაში" დაგეგმილ წმენდას კიდევ უფრო რეალურს გახდის. არაა გამორიცხული, პოსტი რიიკაარდმაც დატოვოს. **ხოან ლაპორტა** ახალი გუნდის შენებას აპირებს. ეჭვგარეშეა, რომ ის რონალდინიოს ასე ხელაღებით ვერ გაუშვებს. მაგრამ აწყობს კი გაუჩოს ამ "ახალი გუნდის" მშენებლობაში მონაწილეობა, თუ ურჩევნია, უკვე აწყობილ "მილანში" წავიდეს? აი, ამაზე უნდა იფიქროს რონალდინიომ. მაგრამ აქ მთავარი მისი სურვილიც არაა. სიტუაციას ნაწილობრივ ნათელს ჰფენს "რეალის" სატრანსფერო კონსულტანტი **ერნესტო ბრონცეტი**, რომელიც ამ საკითხებში ღრმადაა ჩახედული:

"არ მგონია, "ბარსელონამ" რონალდინიო გაყიდოს. თავად ფეხბურთელის სპონსორებსაც სურთ, რომ ის ესპანეთში დარჩეს. მისი სპონსორი კი "ნაიკია", რომელსაც ამ ტიპის კონტრაქტი რონალდოსთანაც აქვს გაფორმებული, ხოლო რონალდო "მილანშია" და შესაბამისად, "ნაიკი" რონალდინიოს იტალიური ტრანსფერით დაინტერესებული არ არის. ეს არის მთავარი ხელისშემშლელი პირობა, თორემ ფეხბურთელის ნება რომ იყოს, საქმე სხვაგვარად იქნებოდა".

ამით, სინიორ ბრონცეტი ვარაუდობს, რომ რონალდინიო სიამოვნებით წავიდოდა "მილანში", რომ არა სპონსორული ხელშეკრულება. საინტერესოა, რას ფიქრობს თავად ფეხბურთელი: *"ახლა, ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება არდადეგები. ძალიან დავიღალე და დასვენება მჭირდება. მომავალზე კი მხოლოდ შვებულების შემდეგ ვიფიქრებ"* - ამბობს რონალდინიო "ელ მუნდო დეპორტივოსთვის" გაკეთებულ კომენტარში. საინტერესოა, რომელ მომავალზეა საუბარი? გამოდის, "კიჭა" უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ კატალონია ამ ზაფხულსვე დატოვოს.

მიმომხილველთა ვარაუდით, "მილანის" სიაში კიდევ ერთი მეგავარსკვლავია - **დიდიე დროგბა**. ამასწინათ, დროგბამ ინტერვიუ მისცა ბრიტანულ გამოცემა "სანს", რომელშიც სურვილი გამოთქვა, რომ უკვე მომავალი სეზონიდან კარიერა იტალიაში ან ესპანეთში გააგრძელოს, და რომ "ჩელსი" მის ამბიციებს აღარ შეეფერება (?) და ასე შემდეგ. "ჩელსი" კი აცხადებს რომ კოტდივუარელი ფორვარდი არ იყიდება...

რობინიო

რეალი

რობინიო ითამაშებს

კაპელო რჩება, სამეფო კლუბი დუდეკს ელის

ფიფამ **რობინიოს** "მალიორკასთან" თამაშის ნება დართო. ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაცია კატეგორიულად ითხოვდა ფეხბურთელის გაშვებას სანაკრებო შეკრებაზე. პენტაკამპიონები კოპა ამერიკისათვის ემზადებიან. **კარლოს დუნგა** ფიფაში ჩივილითაც კი იმუქრებოდა, თუ რობინიოს ხუთშაბათ საღამოს არ გაათავისუფლებდნენ, მაგრამ სწორედ ფიფამ გადაწყვიტა, რომ გარემარბმა ჯერ მადრიდელთა შემადგენლობაში უნდა ითამაშოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიაშურნს ნაკრებს. "მალიორკასთან" ბოლო ტურის შეხვედრას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. გამარჯვების შემთხვევაში, "რეალი" ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველად დაეუფლება ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს. **ფაბიო კაპელოს** უკლებლივ ყველა ფეხბურთელი სჭირდება. ახლა, როცა ბრაზილიელებთან ურთიერთობა გარკვეულია, რობინიოს ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. პენტაკამპეონების ახირება გადამდები აღმოჩნდა. გუშინ მალის ფეხბურთის ფედერაციამაც წამოყო თავი და მადრიდელებს **მაჰამადუ დიარას** გათავისუფლება მოსთხოვა. "რეალმა" ზუსტად იცის, რომ მალელები ვერაფერს დააკლებენ. "მალიორკასთან" დიარაც ითამაშებს, შემდეგ კი საზაფხულო არდადეგები დაეწყება და უნდა ნაკრებში წავა (სიერა ლეონესთან მატჩისათვის მოსამზადებლად) და უნდა დასასვენებლად.

გუშინ კაპელო პრეზიდენტ **რამონ კალდერონს** შეხვდა. "ასის" ცნობით, საუბარმა მხოლოდ ხუთ წუთს (!) გასტანა. კაპელომ "რეალის" ბოსს აუწყა, რომ მუშაობის გაგრძელებას აპირებს და მადრიდიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, თუ კარისკენ მიუთითებენ. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტს სოლიდური კომპენსაციის გადახდა არ აცსდება, თუმცა ფულის გადახდა ასეც მოუწევს და ისეც. საქმე ისაა, რომ იანვარში კალდერონმა ნინასწარი კონტრაქტი გაუფორმა "ხეტაფეს" დამრიგებელ **ბერნდ შუსტერს**. კონტრაქტში ჩაიდო პუნქტი, რომლის თანახმად მხარე, ვის გამოც ხელშეკრულება ვერ შესრულდება, მეორე მხარეს 800 ათას ევროს გადაუხდის. დღესავით ნათელია, რომ თუ "რეალი" ჩემპიონი გახდება, კაპელო და მასთან ერთად **პედია მიატოვიჩი** და **ფრანკო ბალდინი** მუშაობას გააგრძელებენ. შუსტერს კი სოლიდური კომპენსაცია შეხვდება.

აქვე გეტყვით, რომ "რეალმა" "ლივერპულის" სათადარიგო მეკარე **იერჟი დუდეკთან** წამოიწყო მოლაპარაკება. მადრიდელთა ამჟამინდელი მეორე გოლკიპერი **დიეგო ლოპესი** "ვილიარეალში" გადასვლას აპირებს. ახალ სამსახურს ეძებს მესამე ნომერი **კიკო კასილიასიც**. "რეალი" მხოლოდ **იკერ კასილიასის** ამარა რჩება. მიატოვიჩმა დუდეკისათვის კონტრაქტის შეთავაზების ფაქტი დაადასტურა. იერჟი თავისუფალი აგენტი ხდება. რამდენიმე დღის წინათ პოლონური მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში გოლკიპერმა თქვა, რომ მისი მომდევნო ტრანსფერი შეიძლება ისეთივე ზღაპრული მოვლენა აღმოჩნდეს, როგორიც 2005 წლის ჩემპიონთა თასის მოპოვება იყო.

ლიბერდატორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი

თითქმის განადგებულია

რიკელმეს ბოლო მატჩი ბომბონერაზე და საუცხოო გოლი...

ბოკა ხუნიორსი-გრემიო 3:0

ბოკა: კარანტა, იბარა, დანიელ დისი, კლაუდიო როდრიგესი, კლემენტე როდრიგესი, ლედესმა, ბანეხა (81. ბატალია), კარდოსო (67. დეტოლო), რიკელმე, პალასიო, პალერმო.

გრემიო: სახა, პატრისიო, ვილიამი, ტეკო, ლუსიო, გოიანო, გავილანი, დიეგო სოუზა, ტჩეტო (80. დუგლასი), ტუტა (72. ლუკასი), კარლოს ედუარდო.

გოლები: 1:0 პალასიო (18), 2:0 რიკელმე (73), ლედესმა (89).

გაძევება: გოიანო (58. გრემიო)

გაფრთხილება: 4-1

მაყურებელი: 50 000

მიგელ ანხელ რუსოს შეგირდებმა არგენტინის ჩემპიონობა "სან ლორენსოს" გადაულოცეს. სამაგიეროდ, ლიბერტადორესის თასის დაუფლებას აპირებენ. "გრემიომ" ბუენოს აირესის "ლა ბომბონერაზე" სუსტად იასპარეზა. მას ამ თამაშით სამბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა გაუჭირდება.

პირველი ფინალური მატჩის მშვენება **ხუან რომან რიკელმეს** გოლი იყო. ნახევარმცველს საიჯარო ხელშეკრულება უმთავრდება. არდადეგების შემდეგ ის "ვილიარეალში" უნდა დაბრუნდეს. რიკელმემ მშობლიურ არენაზე ბოლო მატჩი ჩაატარა და ინჩასებს 30 მეტრიდან გატანილი ბურთით დაამახსოვრა თავი. ანგარიში **როდრიგო პალასიომ** მე-18 წუთზე გახსნა. არგენტინელ მიმომხილველებსაც კი მოეჩვენათ, რომ თავდამსხმელი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ურუგვაელმა არბიტრმა **ხორხე ლარიონდომ** კარის აღება დაადასტურა. სტუმრებმა თამაში ათი კაცით დასრულეს. მეორე ტაიმის დასაწყისში **სანდრო გოიანომ** წითელი ბარათი დაიმსახურა. შეხვედრა 14 წუთის დაგვიანებით დაიწყო. ბაირესელმა გულშემატკივარმა მინდორზე ქაღალდის ათასობით ლენტი გადააგდო. შეხვედრის ორგანიზატორებს მინდვრის გასაწმენდად დიდი ხანი დასჭირდათ.

"გრემიო" ლიბერტადორესის თასის ორგზის გამარჯვებულია (1983, 1995). "ბოკას" გაცილებით შთამბეჭდავი მონაგარი აქვს. მის მუზეუმში ლათინური ამერიკის ხუთი ჩემპიონთა თასი ინახება (1977, 1978, 2000, 2001 და 2003). ბრაზილიელებმა აქტიურად დაიწყეს, მაგრამ მასპინძლები ინიციატივას ადვილად დაეუფლნენ და მეტოქის დასამწუხრებლად დიდი ხნის ლოდინიც არ დასჭირვებიათ. "გრემიოს" საჯარიმოს სიახლოვეს ჯარიმა დაინიშნა. რიკელმემ ბურთი შორ ძელთან ჩაკიდა, **მარტინ პალერმომ** მას თავი შეაგება და კარის გასწვრივ ჩააწოდა. "გრემიოს" მცველებმა ხელოვნური თამაშგარის შექმნა სცადეს, რაც ერთი შეხედვით გამოუვიდათ კიდეც. მაგრამ თანამსაჯმა ალამი არ აღმართა. პალასიომ მშვიდად შეაგდო, არბიტრმა ლარიონდომ კი ასისტენტს უსიტყვოდ დაუჯერა. გამეორებისას აღმოჩნდა, რომ ართუ პალასიო იმყოფებოდა თამაშგარეში, თვით პალერმოც რიკელმეს პასის მომენტში ბოლო მცველზე უკან იდგა.

"გრემიოს" პროტესტმა არ გაჭრა. ბრაზილიელებმა თამაში გააგრძელეს და მალე მათ კართან ისევ ჩამოცხა. პალასიომ ახლო მანძილიდან დაარტყა, მაგრამ **ტეკომ** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. მან მეორე ეპიზოდშიც იმარჯვა, შესვენების შემდეგ რიკელმეს დარტყმული კუთხურზე გადაგდო. 58-ე წუთზე სტუმრები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ: ლარიონდომ გოიანო გააძევა. ეს ბიჭი რიკელმეს პირველი წუთიდან ეუხეშებოდა. ისინი ერთმანეთს რამდენჯერმე წაეკიდნენ. არბიტრის მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როცა გოიანომ **ევერ ბანეხას** მუცელში ნიხლი ჩააზილა. ამის შემდეგ თამაში ცალკარას დაემსგავსა. "გრემიოს" კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა. 74-ე წუთზე რიკელმემ 30 მეტრიდან შეაგდო. ეს გოლიც სტანდარტულ მდგომარეობას მოჰყვა. ხუან რომანს ბურთი დაუგორეს, მან კი ძლიერად დასცხო, ის ცოცხალ კედელში გააძვრინა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

88-ე წუთზე "გრემიომ" ერთი ბურთის გაქვითვის ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან: ბაირესელ მეკარე **მაურისო კარანტას ლუკასის** იერიშისას ბურთი ხელიდან გაუვარდა. **დიეგო სოუზამ** დაამატა, მაგრამ ააცილა. ერთ წუთში **პაბლო ლედესმამ** მესამე გოლი გაიტანა და თავისიანებს თასი ფაქტობრივად გაუნაღდა.

ხუან რომან რიკელმე ბრაზილიელთა კარში გატანილ მეორე გოლს ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

ვან დერ ვაარტი: იუვე? კარგია, მაგრამ რეალი მირჩევნია

ტარდელი იუვენტუსს უცნაურად ტოვებს

მარკო ტარდელი "იუვენტუსის" დირექტორთა საბჭოს ტოვებს. ეს მან სააგენტო AGI-ს გაუმხილა და ისიც დაამატა, რომ გადაწყვეტილებას სისრულეში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შემდეგ მოიყვანს, როცა იტალიის 21-წლამდელებთან ერთად შინ დაბრუნდება. ტარდელი აღფრთოვანებული ნამდვილად ვერ იქნება **პიერლუიჯი კაზირაგის** შეგირდთა გამოსვლით, მაგრამ არა გვგონია, მისი გადაწყვეტილება ამას უკავშირდებოდეს. მარკოს მოსალოდნელ გადადგომაზე პრესამ ჯერ კიდევ **დიდიე დეშამის** ნასვლისთანავე დაწერა, მაგრამ ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ამ ინფორმაციას მაშინ "მონაჭორი" უწოდა. როგორც ხედავთ, მედია არ ტყუოდა. ტარდელის განცხადება საყურადღებოა, თუმცა კითხვებს უპასუხოდ ტოვებს:

"დირექტორატის წევრობაზე დავთანხმდი იმიტომ, რომ იმედი მქონდა, რაღაც ცვლილებებს განვახორციელებდი, და არა მხოლოდ "იუვენტუსში", არამედ მთლიანად კალჩოს სამყაროში. მაგრამ, სამწუხაროდ, დავრწმუნდი, რომ ეს შეუძლებელია".

იმედია, ადრე თუ გვიან ტარდელი აუცილებლად იტყვის გადადგომის ჭეშმარიტ მიზეზებზე. ჩვენ კი "იუვენტუსის" სატრანსფერო ამბებზე ვისაუბროთ. გერმანული გამოცემა "ბილდის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "იუვენტუსი" "ჰამბურგისა" და ჰოლანდიის ნაკრების ლიდერ **რაფაელ ვან დერ ვაარტის** გადაბირებას ცდილობს. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, **პაველ ნედვედს** პრაღაში, მეგობრებთან უთქვამს, ვან დერ ვაარტის ხელში ჩასაგდებად, "იუვე" ყველაფერს გააკეთებს და რომ ჰოლანდიელი "ბებერი ქალბატონის" სასურველ მოთამაშეთა სიაში, თურმე, პირველ ადგილზეა. ახლა საკითხავი ისაა, შეელევა კი "ჰამბურგი" თავის კაპიტანს, ბომბარდირს, გულსა და სულს?

"ბილდისავე" ინფორმაციით, "იუვენტუსის" ხელმძღვანელები ჰამბურგელ კოლეგებთან მოლაპარაკებების დაწყებას აპირებენ და მზად არიან, ჩრდილოგერმანულ კლუბს ჰოლანდიელის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაუხადონ. მაგრამ წინდაწინვე ცნობილია, რომ გერმანელებს ეს თანხა სასაცილოდაც არ ეყოფათ. იმისთვის, რომ "იუვენტუსმა" მინიმუმ მოლაპარაკებების წამოწყების უფლება მიიღოს, თანხა უნდა გაორმაგოსო, წერს "ბილდი". ასეცაა: ვან დერ ვაარტი 10 მილიონზე გაცილებით ძვირად ფასობს. ამასთან, მას კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება, თუმცა ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, 2009 წელს რაფაელს "ჰამბურგის" დატოვება სულ რაღაც 1.5 მილიონის სანაცვლოდ შეეძლება.

"ჩემთვის დიდი პატივია, რომ ისეთ დიდ გუნდს ვუნდივარ, როგორიც "იუვენტუსია". მაგრამ მე "რეალში" წასვლა მირჩევნია. სამეფო კლუბი ჩემი ბავშვობის ოცნებაა. ამ თემაზე სხვას ვერაფერს ვიტყვი", - აცხადებს ჰოლანდიელი.

ვნახოთ, რას მოიფიქრებენ ტურინში. თუ ვან დერ ვაარტის ყიდვა გადაწყვეტილია, ალბათ, შეთავაზებულ თანხას მართლაც გაორმაგებენ. მანამდე კი ნათელი უნდა მოეფინოს **მაურო კამორანეზის** საკითხსაც. როგორც ჩანს, საქმე იქეთკენ მიდის, რომ "კამო" ტურინს ხელს დაუწერს. გუშინდელმა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო, უფრო სწორად, შედეგი ისაა, რომ ფეხბურთელი უკმაყოფილო დარჩა: *"რბილად რომ ვთქვა, ახალმა შეთავაზებამ ვერ აღმაფრთოვანა. "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა თანახმაა, მხოლოდ 100 ათასი გირვანქით გამიზარდოს წლიური ანაზღაურება, რაც ჩემი პირობებისგან ძალიან შორსაა. უბრალოდ, ეს დაცინვაა. მე კი ამას დიდხანს ვერ ავიტან".*

"ქალბატონი" ფეხბურთელს ცოტა უცნაურ გამოსავალსაც სთავაზობს: დარჩი 2009 წლამდე და მერე თავისუფალი აგენტის სტატუსით წადიო. ცხადია, რომ კამორანეზი არც ამ წინადადებას დათანხმდება, ან თავად რაში აწყობს ფეხბურთელის უფასოდ გაშვება? კამორანეზის "რომაში" უნდა გადასვლა, თუმცა დედაქალაქური გრანდი მისთვის, მაინცა და მაინც, თავს არ იკლავს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ "ინტერი", "სევილია" და "ლივერპული" აქტიურობენ.

მოგეხსენებათ, "იუვენტუსი" კიდევ ერთი ჰოლანდიელითაა დაინტერესებული. საუბარია "აიაქსის" ბომბარდირზე, 23 წლის **იან კლაასს ჰუნტელაარზე**. "სინიორა" 16 მილიონ ევროს იხდის. "აიაქსი" კი პასუხობს, რომ ეს ძალიან ცოტაა.



მარკო ტარდელი

კორინის გზა რომში მიდის

"პალერმოს" აწ უკვე ყოფილმა კაპიტანმა **ეუჯენიო კორინიმ** "რომასგან" მიწვევა მიიღო. 36 წლის ნახევარმცველს დედაქალაქში ორწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კარიერასაც იქვე დაასრულებს. კორინიმ "პალერმოსთან" ხელშეკრულების გაგრძელებას ვერ მიაღწია და ჯერჯერობით უგუნდოდაა. "რომას" წინადადებით ის აღფრთოვანებულია, თუმც კი ესმის, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი ნაკლები ექნება. კორინის გადაბირება "სიენას", "ნაპოლისა" და "ტორინოსაც" სურდათ.



კლაუდიო რანიერი

"იუვენტუსის" მწვრთნელი კლაუდიო რანიერი მოკლევადიან შვებულებას იღებს. გუნდში დიდი ცვლილებებია და ახალ დამრიგებელს კარგად ესმის, რომ ძველებური განცხრომით დასვენებას ვერ მოახერხებს. გახურებულ სატრანსფერო პერიოდში "იუვეს" დირექტორატთან მას მუდმივი კონტაქტი სჭირდება. უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი: ვინ კონტრაქტს აგრძელებს, ვინ მიდის, ვინ მოდის და ასე შემდეგ. ამ და სხვა საკითხებზე რანიერის "ლა სტამპა" ესაუბრა. სხვათა შორის, ეს პირველი ინტერვიუა მისი დანიშვნის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით წარდგენის დღეს მოწყობილ მშრალ პრესკონფერენციას...

- რანიერი, რატომ "იუვენტუსი"?

- ეს უკვე ავხსენი. იმიტომ, რომ "იუვენტუსია", მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მილიონობით ადამიანისთვის საყვარელი კლუბი, იმიტომ, რომ ეს არის მდიდარი ისტორია, ტრადიცია... ანუ სხვა, რაღაც განსაკუთრებული სამყარო. თუ "იუვე" გეძახის, არ შეიძლება, უარი თქვა.

- გასულ ზაფხულს "იუვენტუსმა" დიდი დარტყმა მიიღო. შარშან რომ შემოეთავაზებინათ ეს პოსტი, დათანხმდებოდით?

- მოდით, ნუ გავაიგიგივებთ ცალკეულ პიროვნებებს "იუვენტუსის" ისტორიასთან. არის ხალხი, რომელიც ამ ისტორიაში სამუდამოდ რჩება, მაგრამ არიან ისინიც, ვინც ტიფოზებს მალე ავიწყდებათ. მე მგონი, ეს ჭრილობა უკვე მოშუშებულია. თუკი ვინმემ ჩრდილი მიაყენა ამ კლუბის სახელს, ის დაისაჯა კიდეც და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა ეს სახელი კვლავ ძველებურად ქუხდეს.

- კითხვას არ პასუხობთ...

- დავთანხმდებოდი თუ არა მწვრთნელობას? რა თქმა უნდა. თუ მწვრთნელი ხარ და შენი პროფესია გიყვარს, ნებისმიერი გამოწვევა უნდა მიიღო.

- მიგაჩნიათ, რომ "იუვე" უსამართლოდ დაისაჯა?

- ახლა ამაზე ლაპარაკი უაზრობაა. ცხოვრებაში არის ეტაპი, როცა ძალიან გიჭირს. ჩემი აზრი ასეთია: ის ფეხბურთელები, რომლებიც მოედანზე სისხლსა და ოფლს ღვრიდნენ, ტრაგიკულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. როცა შენ ამდენს აკეთებ და ვიღაც კი, შენს ზურგსუკან რაღაც მაქინაციებითაა დაკავებული, ეს ნამდვილად ძნელი გადასატანია. მაგრამ ვატყობ, რომ კლუბმა ეს უკვე დაივინყა. თამამად შემიძლია იმის თქმაც, რომ დიდიე დეშამმა გრანდიოზული სამუშაო გასწია. მას უკვე ვესაუბრე და მადლობაც გადავუხადე.

- რატომ არ ნახვედით "მანჩესტერ სიტიში"?

- ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, ვისაუბრეთ, და ვისაუბრეთ მეტად სერიოზულ გეგმებზე... ბოლოს კი შევთანხმდით, რომ ორ კვირაში კონტრაქტის დეტალებსაც განვიხილავდით, მაგრამ მერე აღარავის დაურეკავს. სიმართლე გითხრათ, არც მიცდია სიტუაციის გარკვევა. ზუსტად სამ დღეში "იუვეს" გენერალური მენეჯერი ჟან-კლოდ ბლანი დამიკავშირდა. შაბათ საღამოს შევხვდით და კვირა დილისთვის უკვე ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. ისე, მინდა გითხრათ, რომ "მანჩესტერ სიტიზე" ნაწყენი ნამდვილად არ ვარ, პირიქით, მათმა პასიურობამ შანსი მომცა, "იუვენტუსში" მივსულიყავი (იცინის). ასევე დიდი მადლობა მსურს გადავუხადო "იუვეს" მესვეურებსაც. მწვრთნელის შერჩევა ურთულესი საქმეა და სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული.

- არჩევანი სწრაფად გააკეთეთ, მიუხედავად იმისა, რომ "იუვენტუსში" გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას გპირდებოდნენ, ვიდრე მანჩესტერში...

- კიდევ ვიმეორებ: როცა "იუვენტუსში" გიხმობენ, ფულზე არ უნდა ისაუბრო. თანაც, ხელფასი ჩემთვის არასოდეს ყოფილა მთავარი კრიტერიუმი. "ჩელსიში" რომ ვიყავი, მოურინიოს დღევანდელ ანაზღაურებაზე ორჯერ ნაკლებს მიხდიდნენ, მაგრამ უდიდესი ენთუზიაზმი მქონდა და თავდავიწყებით ვმუშაობდი.

- მაგრამ ადრე თქვით, რომ პრემიერლიგა გაცილებით მაღალ დონეზე დგას, ვიდრე სერია A...

- ჩემი ნათქვამი სხვანაირად გაიგეს. თუ ფეხბურთელებით ვიმსჯელებთ, ამ მხრივ იტალიაში ხარისხი არანაკლებია, შეიძლება, მეტიც... მაგრამ რაც შეეხება მენეჯმენტს, უნდა ვაღიაროთ, რომ ინგლისში ნამდვილად სხვა დონეა და ამ სფეროში ბევრი რამ გვაქვს სასწავლი. იქ ცოტა სხვანაირად უყვართ ფეხბურთი. როგორი განწირულიც არ უნდა იყოს გუნდი, ბოლო წამებამდე ქომაგობენ. საპირისპირო მაგალითს გეტყვით: როცა "პარმა" ჩავიბარე, გუნდი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. ტიფოზებს ავუხსენი და მოვუწოდე, რომ საჭირო იყო უპრეცენდენტო მხარდაჭერა, რათა ერთ დროს იტალიური ფეხბურთის გრანდი სერია A-ში ერთობლივი ძალისხმევით დაგვეტოვებინა. მიუხედავად ამისა, საშინაო მატჩებზე 9-10 ათასზე მეტ მაყურებელს ვერ ვკრებდით. ინგლისში ამგვარი მოწოდებები საჭირო არ არის, იქ იციან, რომ ქომაგთა მხარდაჭერას, განსაკუთრებით რთულ მომენტებში, დიდი ფასი აქვს.

- შეიძლება, იტალიის სტადიონები არაკომფორტულია...

- რა თქმა უნდა, ესეც ერთ-ერთი პრობლემაა.

- სწორი იყო ის ღონისძიებები, რაც ფეხბურთის ფედერაციამ და მთავრობამ წესრიგის დასამყარებლად გაატარეს?

- არ ვიცი, ამაზე მათ უნდა იფიქრონ. ვნახოთ, როგორი იქნება მომავალი სეზონი.

- ...და როგორი იქნება მომავალი სეზონი "იუვენტუსისთვის"? რას ჰპირდებით ტიფოზებს?

- მე მათ ერთადერთ გარანტიას მივცემ: კლუბის თითოეული წევრი, დაწყებული ხელმძღვანელობით, სათადარიგო მოთამაშეებით დამთავრებული, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დაკარგული პოზიციები სწრაფადვე დავიბრუნოთ. რომ შევპირდე ხალხს, უმალ სკუდეტოს მოვიგებთ-მეთქი, ისინი ავანტურისტად ჩამთვლიან და ამას ვერც გავაკეთებ. ვიმეორებ, მთავარია ყველამ თავდაუზოგავად იშრომოს. ამ შემთხვევაში, შედეგი და წარმატება გაცილებით მალე მოვა.

- მიზანი?

- "იუვენტუსი" ევროტურნირებისგან თავისუფალია, შესაბამისად, მთელი აქცენტი სერია A-ზე იქნება გადატანილი. ამ სეზონში პროგრამა-მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა.

- გექნებათ საჭირო თანხა ტრანსფერებისთვის?

- ამაზე კიდევ ვისაუბრებთ. ჯერჯერობით, კმაყოფილი ვარ. მაგრამ ფული ყოველთვის არ არის წარმატების გარანტია. მითხარით ერთი პრეზიდენტი მაინც, ვინც ბოლო ათი წლის განმავლობაში მასიმო მორატიზე მეტი დახარჯა, მაგრამ ნახეთ, რამდენ ხანს

ინტერვიუ კლაუდიო რანიერისთან

არ მინდა, ხალხი მოვაჭყუოთ

მომავალი სეზონისთვის პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგის საგზურია

ელოდა "ინტერი" სკუდეტოს. აქ მთელი კომპლექსია ღონისძიებებისა და ერთი უმნიშვნელო დეტალიც თუ გამოგრჩა, საქმეს წინ ვერ წაიყვან.

- რა გამორჩა მორატის?

- ეს კონკრეტულად მას არ ეხება, ზოგადად ვამბობ. ესეც არ იყოს, "ინტერის" საქმეებში ჩახედული არ ვარ და სჯობს, თავად მორატის ჰკითხოთ. ისე, მწვერვალებისკენ სავალი გზა ძალიან რთულია, ტიფოზები კი ყველაფერს ერთბაშად ითხოვენ. თუმცა მე მესმის მათი, ისინი ფულს იმაში იხდიან, რომ საყვარელი გუნდის გამარჯვებებით დატკბნენ.

- ტრანსფერები? კმაყოფილი ხართ ახალი მოთამაშეებით?

- პირველ რიგში, ბედნიერი ვარ იმით, რომ ვარსკვლავები რჩებიან. ბუფონი, დელ პიერო, ნედვედი... მათ გარეშე შედეგის მიღწევა გაგვიჭირდება. არიან კარგი ახალგაზრდებიც... თუნდაც პალადინო... კონტრაქტი გააგრძელა ძებინამ, მოვიდნენ იაკუინტა და ალმირონი... ბევრი რამ იცვლება, იცვლება უკეთესობისკენ და ეს ძალიან მახარებს.

- მიკოლი?

- ძალიან მინდა, რომ დაბრუნდეს. ვიცი, მასაც სურს "იუვენტუსში" თამაში. პორტუგალიაში ორი წელიწადი გაატარა და თავი საუკეთესო კუთხითაც წარმოაჩინა. მიკოლის თვისებების მქონე ფეხბურთელი ძალიან გვჭირდება.

- ...მაგრამ აღარ გჭირდებათ ტრეზეგე და კამორანეზი...

- ეს ის პრობლემაა, რომელიც უშუალოდ კლუბის მენეჯმენტმა უნდა გადაწყვიტოს. მთავარია, ჩვენ დავინახოთ, რომ ამ ფეხბურთელებს "იუვენტუსში" თამაში უნდათ.

- ჰუნტელაარი?

- ჩამოყალიბებული ბომბარდირია. მისი თამაში რამდენჯერმე ვნახე და ძალიან მომეწონა. ესეც მენეჯმენტმა უნდა გადაწყვიტოს.

- თანახმა იქნებით, რომ ბოჟინოვი წავიდეს?

- ის ძალიან ნიჭიერია, მაგრამ რატომღაც ზრდა შეწყვიტა. შეიძლება, სჯობდეს კიდეც, რომ სხვა გუნდში მოსინჯოს ძალები. მაგრამ თუ კლუბი მის დატოვებას გადაწყვეტს, მზად ვარ ამ ფეხბურთელთანაც ვითანამშრომლო.

- ლემპარდი...

- არ მინდა, ხალხი მოვატყუოთ. მისი ჩამოყვანა ძალიან რთული იქნება. ჩვენ ერთად ვმუშაობდით, ჩინებული ურთიერთობაც გვაქვს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, სხვა ბევრი ფაქტორიცაა...

- რას იტყვით ტაქტიკაზე? რა სქემით ითამაშებს "იუვენტუსი"?

- რა თქმა უნდა, საბაზისო მოდელი აუცილებლად გვექნება, მაგრამ ტაქტიკას მაინც ფეხბურთელების ხარისხი და მეტოქეები გვიკარნახებენ. აქედან გამომდინარე, გუნდს სხვადასხვა მეთოდით უნდა შეეძლოს თამაში. ჯერ კიდევ "კალიარიში", 20 წლის წინათ, ტაქტიკას ხშირად ვცვლიდი, თან უშუალოდ თამაშის დროს. ლიპის "იუვენტუსიც" სხვადასხვა ტაქტიკით თამაშობდა, კაპელო უფრო კონსერვატორია, ის შედარებით ნაკლებად მიმართავს ცვლილებებს... გაარჩია ხეფვას. ერთ მაგალითსაც მოგიყვანთ: როცა "ნაპოლიში" ვმუშაობდი, იქ ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, რომ ყველა მე-10 ნომერს მარადონასავით უნდა ეთამაშა. მაგრამ მე მყავდა ერთი ფეხბურთელი, რომლისაც ყოველთვის მჯეროდა. ძოლას ვგულისხმობ...

- ორი წელიწადი ტელეკომენტატორად მუშაობდით. ღირდა კი წყნარი ცხოვრების გაცვლა მუდმივ სტრესებზე?

- როგორ ფიქრობთ, რატომ დავბრუნდი "პარმაში"? დიახაც, ღირდა. ღირდა იმიტომ, რომ სწორედ ესაა ჩემი საქმე.

- სად აპირებთ დასვენებას?

- დასვენება ძალიან მინდა. ამჯერად, ხანმოკლე შვებულებაში გავდივარ, მუდმივ კონტაქტში უნდა ვიყო კლუბთან. ტურინში მალე დავბრუნდები.

ბაიერნი

ბილდი: ტონის წლიური ხელფასი 10 მილიონია

იტალიელი თავდამსხმელი ოლივერ კანზე ორჯერ მეტს იღებს

"ვერდერის" მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა მიროსლავ კლოზეს** თემა დახურულად კი გამოაცხადა (გუშინელ ნომერში ვწერდით), მაგრამ "ბაიერნი" ბრძოლას აგრძელებს. მართალია, აგერ უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც მიუნხენურ და ბრემენულ კლუბებს შორის მოლაპარაკებები აღარ გამართულა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფრონტის ხაზი დაიხურა. რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგეც** აცხადებს, რომ კლოზეს გარშემო ახალი არაფერია, მაგრამ კალე სულაც არ ფიქრობს, რომ წნეხის ქვეშაა მოქცეული (ცნობისთვის, კლოზეს ტრანსფერის გაჩარხვა რუმენიგემ თავის თავზე აიღო და ამიტომაცაა, ამ ფრონტზე **ჰიონესზე** ხშირად რომ ჩანს). რუმენიგესთვის ამ ეტაპზე მთავარი ის გახლავთ, რომ კლოზემ პირდაპირ თქვა, ადრე თუ გვიან, "ბაიერნში" გადავალო. და მიუნხენელთა ბოსი მშვიდადაა - *"ის რაც ახლა ხდება, ანუ სიჩუმე მოსალოდნელი ტრანსფერის გარშემო, პირველ რიგში, "ვერდერის" პრობლემაა და არა "ბაიერნის", რადგან ჩვენ არსად ვჩქარობ!"*

პირველი მოლაპარაკების შემდეგ, მიუნხენელებს შეთავაზებული თანხის გაზრდაზე ერთხელაც არ უფიქრიათ. რუმენიგე მიიჩნევს, რომ 10 მილიონი ევრო კლოზესთვის ამ ეტაპზე და ამ სიტუაციაში (როცა ფეხბურთელს გაისად კონტრაქტი უმთავრდება), მაქსიმუმია. *"კი მაგრამ, ვინმემ ამიხსნას, რატომ უნდა შევთავაზოთ ამაზე მეტი?"* - გაკვირვებულია კალე, - *"თუკი ბრემენელები ფიქრობენ, რომ ეს ცოტაა, პრობლემა არაა, დაიტოვონ კიდევ ერთი წლით. ეს ჩვენთვის მიუღებელი სულაც არ იქნება. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ კლოზე ახლავე გადმოსულიყო, მაგრამ თუ გაისად გადმოვა, არც ეს იქნება ცუდი ვარიანტი, რადგან ასეთ შემთხვევაში მასში ფულს აღარ დავხარჯავთ. თანაც, ლუკა ტონის გადმობირების შემდეგ, თავდასხმაში პრობლემები აღარ გვაქვს. თუ კლაუს ალოფსი ფიქრობს, რომ ყოველდღე უნდა ვურეკავდეთ, ძალიან ცდება. ჩვენ ჩვენი პირობები წავუყენეთ. არ უნდა? ნუ უნდა! პოდოლსკიში გავცვალოთო - ეს ჩვენ არ გვინდა! თუ ახალ ვარიანტს მოიფიქრებს, დაგვირეკოს, სიამოვნებით მოვუსმენთ. მთავარი ისაა, რომ კლოზესგან თანხმობა მიღებული გვაქვს."*

მოკლედ, რუმენიგეს კლოზეს საკითხის სწრაფად გადაწყვეტის იმედი არ აქვს. სამაგიეროდ, გადაწყვეტილი და დადასტურებულია **ზე რობერტოს** ტრანსფერი. *"ჩვენ მისი თანხმობა მიღებული გვაქვს - კონტრაქტი ორწლიანი იქნება,"* - ამბობს კალე, ასე რომ, ზე რობერტოს ტრანსფერისთვის მოსაგვარებელი მხოლოდ ფორმალური მხარეღაა.

თუ "ბაიერნის" შემადგენლობას ზე რობერტოსაც მივათვლით, გამოდის, რომ მომავალი სეზონისთვის მიუნხენურ გიგანტს 25 მინდვრის მოთამაშე (მეკარეების გარეშე) ეყოლება. თუ გუნდს კლოზეც შეუერთდება, მაშინ **როი მაკაის** გაყიდიან (ამაზე უკვე შეთანხმდნენ). ცნობილია, რომ **ოტმარ ჰიტცფელდს** 22 ფეხბურთელთან მუშაობა სურს. გარკვეულია ისიც, რომ **ხულიო დოს სანტოსს** ისევ გაანათხოვრებენ. წასვლის უფლება **როკე სანტა კრუსსაც** მიღებული აქვს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იპოვის გუნდს, რომელიც მის სანაცვლოდ გარკვეულ თანხას გადაიხდის. რუმენიგე არ გამორიცხავს, რომ "ბაიერნმა" კიდევ ერთი ან ორი მოთამაშე გაანათხოვროს. როგორც იცით, **ოტლის, ლელისა** და **გიორლიტცის** არენდით აყვანა "ვოლფსბურგმა" მოითხოვა, სადაც **ფელიქს მაგათი** მუშაობს. რუმენიგეს თქმით, ოტლისა და ლელის განათხოვრება გამორიცხულია, აი, გიორლიტცი კი, შესაძლოა, მართლაც გაუშვან. ამ უკანასკნელს "მგლების" გარდა, ბუნდესლიგაში აღზევებული "კარლსრუეც" უხმობს. ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ "ბაიერნში" ბრუნდება ვეტერანი მცველი, გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **თომას ლინკე** (43 მატჩი ბუნდესგუნდში). 37 წლის უკანახაზელს "ზალცბურგთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და რაკი ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმეს, ისევ "ბაიერნს" მიაშურა. ოღონდ, ლინკე არა პირველ, არამედ მეორე გუნდში იქნება და რეგიონალიგაში იასპარეზებს. რეკორდმაისტერის მოყვარულებთან ამ უკანასკნელმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. "ზალცბურგში" გადასვლამდე, ლინკე "ბაიერნის" ღირსებას 1998-იდან 2005 წლამდე იცავდა.

ყველაზე მთავარი და საინტერესო ბოლოსთვის შემოვინახეთ. გამოცემა "შპორტ-ბილდმა" ექსკლუზიური მასალა გამოაქვეყნა, სადაც "ბაიერნის" ფეხბურთელების ხელფასებია ნაჩვენები. აქამდე ცნობილი იყო, რომ რეკორდმაისტერის ახალწვეული ტონი წელიწადში 6 მილიონ ევროს მიიღებდა. "შპორტ-ბილდის" ცნობით კი, იტალიელი წელიწადში 10 მილიონს ჩაიჯიბავს - ანუ, ორჯერ მეტს, ვიდრე გუნდის კაპიტანი **ოლივერ კანი**! მეორე ადგილზე **ვილი სანიოლია**, რომლის ხელფასიც წლიურად 5.5 მილიონს შეადგენს და დააკვირდით, რამხელა სხვაობაა ტონისა და სანიოლის ხელფასს შორის. თუმცა ქვემოთ მოყვანილი მონაცემებიდან იმაშიც დარწმუნდებით, რომ "ბაიერნში" ყველას კარგი ხელფასი აქვს. ჯამში, "ბაიერნის" წლიური სახელფასო ფონდი 69 მილიონ ევროს შეადგენს!

გოტფრიდ ლენცი

ლუკა ტონი, ბაიერნის უმდიდრესი ფეხბურთელი

ფეხბურთელი	ასაკი	კონტრაქტი	ხელფასი
ლუკა ტონი	30	2011	10.0 (მლნ)
ვილი სანიოლი	30	2010	5.5
ოლივერ კანი	37	2008	5.0
ლუსიო	29	2010	4.8
ფრანკ რიბერი	24	2011	4.8
მარკ ვან ბომელი	30	2009	4.0
დანიელ ვან ბუიტენი	29	2010	4.0
ზე რობერტო	32	2009	3.5
ლუკას პოდოლსკი	22	2010	3.0
როი მაკაი	32	2008	3.0
პამით ალთინთოფი	24	2010	3.0
ფილიპ ლამი	23	2009	2.3
ბასტიან შვაინშტაიგერი	22	2009	2.2
მარსელ იანსენი	21	2011	2.1
როკე სანტა კრუსი	25	2009	2.0
მარტინ დემიჯელისი	26	2010	1.8
ვალერიან ისმაელი	31	2008	1.6
ხოსე ერნესტო სოსა	21	2011	1.5
იან შლაუდრაფი	23	2010	1.5
ანდრეას გიორლიტცი	25	2009	1.2
მიხაელ რინზინგი	23	2010	1.2
ქრისტიან ლელი	22	2009	1.0

თეოფანის გეკასი

ინტერვიუ თეოფანის გეკასთან

რეჰაგელი სიცოცხლის გარანტიაა

გუნდესლიგის ბერძენი ბომბარდირი მარკო ვან ბასტენის ფანია...

ბერძენი თავდამსხმელი თეოფანის გეკასი ბუნდესლიგურ "ბოხუმში" ზუსტად ერთი წლის წინათ გადავიდა და პირველსავე სეზონში ფურორი მოახდინა - 20 გოლით გერმანიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. არცაა გასაკვირი, 27 წლის ტანმორჩილი გოლეადორი "ბოხუმში" რომ არ გააჩერეს - მან უკვე გააფორმა კონტრაქტი "ლევერკუზენთან" და მომავალი სეზონიდან "ფარმაცევტებისთვის" შეუტევს. ფანის გეკასს "ბილდის" კორესპონდენტი გაესაუბრა...

- ჰერ გეკას, რა განსხვავებაა გერმანელებსა და ბერძნებს შორის. რა შეიძლება ისწავლოს გერმანელმა ბერძენისგან?

- ჩვენ, ბერძნები ცხოვრებას უფრო მარტივად ვუყურებთ და ალვიქვამთ, უფრო გულღია ხალხიც ვართ და საღამოობით, უფრო ხშირად გავდივართ სახლიდან. გერმანელები კი ძალიან დისციპლინირებული ერია, ზედმეტად დისციპლინირებულიც კი. რაც შეეხება ფეხბურთს, ამ მხრივ ბერძნები გერმანიას მაგრად ჩამოვრჩებით.

- 2004 წელს თქვენ ევროპის ჩემპიონები გახდით...

- ეს არაფერს ცვლის.

- ბუნდესლიგაში ყველაზე მეტად რა მოგწონთ?

- ყველაზე მეტად ის მომწონს და მახარებს, რომ ბუნდესლიგაში სწრაფი თავდამსხმელების ნაკლებობაა. ამის გამო ჩემს უპირატესობას ყოველთვის ვგრძნობ. ჩემი წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ სისწრაფეა.

- ბავშვობაში ყველაზე მეტად რომელი თავდამსხმელი მოგწონდათ, ვის ბაძავდით?

- მარკო ვან ბასტენი. ის მართლაც გენიალური გოლეადორი იყო - ჰოლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. ვან ბასტენს ბურთთან ერთად უბრალოდ, ყველაფერი გამოსდიოდა.

- ცნობილია, რომ ჭიდაობაზე დადიოდით და ძალიან დიდი იყო იმის შანსი, რომ ფეხბურთელი არც გამოსულიყავით...

- მართალია: ბავშვობაში მოჭიდავეობა მინდოდა. მაგრამ ფეხბურთი უფრო მეტად შემიყვარდა და შესაბამისად, ჭიდაობას თავი დავანებე.

- ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გაგიჭირდათ თამაში?

- კონკრეტული მცველის დასახელება გამიჭირდება, რადგან ყველა ძლიერ უკანახაზელთან თანაბრად მიჭირდა. ლუსიო, ბორდონი, ფერნანდო მეირა, ნალდო - ამ ოთხეულს გამოვყოფდი.

- თამაშის წინ როგორ ემზადებით ხოლმე?

- ვარჯიშებს თუ არ ჩავთვლით, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურად ვემზადები ხოლმე. სხვათა შორის, მატჩების წინ მუსიკას არ ვუსმენ, არადა, ფეხბურთელების უმრავლესობა სწორედ ამას აკეთებს. მშვიდი პიროვნება ვარ და ყოველი მატჩის წინ მხოლოდ საკუთარ თავს ვუსმენ.

- რა არის თქვენი უმთავრესი მოტივატორი?

- ჩემი მეუღლე. არ ვაჭარბებ - გვერდით რომ არ მყავდეს, გოლებს ნამდვილად ვერ გავიტან.

- ამისთვის სამაგიეროს როგორ და რით უხდით?

- საღამოობით სავახშმოდ გავდივართ ხოლმე. განსაკუთრებით დიუსელდორფში ყოფნა გვსიამოვნებს. ესეც არ იყოს, ჩემს გოლებს ყოველთვის მეუღლეს ვუძღვნი. ოჯახი ჩემთვის ყველაზე და ყველაფერზე ზემოთ დგას, ოჯახი წმინდაა.

- "ბოხუმის" თავკაც მარსელ კოლერისთვის, როგორც თვითონ ამბობს, თქვენ "სიცოცხლის გარანტია" იყავით. ახლა კი "ლევერკუზენში" გადახვედით. გამოდის, რომ "ბოხუმი" ჩაიძირება?

- "ბოხუმის" დატოვება ძალიან გამიჭირდა. რაც არ უნდა იყოს, ამ გუნდში მხოლოდ ერთი სეზონი გავატარე, მაგრამ პირველივე სეზონში გერმანიის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, რაც ნამდვილად არ არის მცირე მოვლენა. თუმცა უკვე 27 წლის ვარ და ვფიქრობ, არავინ გამამტყუნა იმის გამო, რომ "ლევერკუზენში" გადავედი. ცხოვრება ასეთია - რაკი უკეთესი გუნდის ვარიანტი გაჩნდა, უარს ვერ ვიტყოდი, მიუხედავად იმისა, რომ "ბოხუმი" ძალიან შემიყვარდა. ბავშვი აღარ ვარ - ვინძლო, ეს ჩემთვის უკანასკნელი სარფიანი კონტრაქტი იყოს. როცა ფეხბურთელი სეზონს მაღალ დონეზე ჩაატარებს და ამის შემდგე მისით რომელიმე გრანდი დაინტერესდება, მორალური უფლება არა აქვს, რომ თქვას, მაპატიეთ, მაგრამ აქ ვრჩებიო. და იცით, რატომ? შესაძლოა, ერთი წლის შემდეგ ასეთი შანსი აღარ მიეცეს.

- "ლევერკუზენში" რა მიზნები გაქვთ?

- მინდა, რომ ადაპტაციის პერიოდი არ გამიგრძელდეს და ახალ გუნდს, რაც შეიძლება, მალე მოვერგო. ძალიან კონტაქტური ადამიანი ვარ და ახალ სიტუაციასთან შეგუება არ გამიჭირდება, ეს ფაქტია. მთავარია, რომ გოლები თავიდანვე გავიტანო. როცა ახალი ფეხბურთელი თავის შესაძლებლობებს მალე წარმოაჩენს, თანაგუნდელები მაშინვე ამბობენ ხოლმე: აჰა, ამ ფეხბურთელს რაღაც შესძლებია. და მაშინვე შინაურად იგრძნობ თავს.

- რომელ ტიტულზე ოცნებობთ?

- ჩემპიონთა ლიგის თასზე.

- "ლევერკუზენში" ამ მიზნის მიღწევა გაგიჭირდებათ...

- რატომ? განა ეს გუნდი 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში არ გავიდა? იქ კი, "ბაიერნი" მადრიდის "რეალს" ტოლსწორად ეთამაშა და რომ არა იკერ კასილიასის მიერ ბოლო წუთებზე ჩადენილი გმირობები, ფინალსაც მოიგებდა.

- რას ნიშნავს ოტო რეჰაგელი პირადად თქვენთვის და საერთოდ, საბერძნეთისთვის?

- ჩემთვისაც და საბერძნეთისთვისაც, ოტო სიცოცხლის გარანტიაა!

გოტფრიდ ლენცი

მათეუსი ბრიუკნერის ალტერნატივაა

გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ზალცბურგიდან" გათავისუფლებული **ლოთარ მათეუსის** კანდიდატურა ჩეხეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე განიხილება. ჩეხეთის პირველ გუნდს, როგორც იცით, **კარელ ბრიუკნერი** წვრთნის. მიუხედავად ამისა, საფეხბურთო კავშირმა გერმანიის ნაკრების რეკორდსმენთან მოლაპარაკებები გამართა. ეს ინფორმაცია ჩეხეთის ნაკრების მენეჯერმა **ვლასტიმილ კოსტალმაც** დაადასტურა. ამ უკანასკნელის თქმით, მათეუსთან პირველი საუბარი უკვე შედგა. *"ბრიუკნერის გათავისუფლების არანაირი წინაპირობა არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ვალდებულები ვართ, თადარიგი დავიჭიროთ და ყველაფრისთვის მზად ვიყოთ. დასამალი არაფერია - მათეუსი ბრიუკნერის ალტერნატივაა,"* - აცხადებს კოსტალი.

ტროხოვსკის დორტმუნდში ანათხოვრებენ

"შპორტ-ბილდის" ცნობით, "ჰამბურგი" მზადაა, ნახევარმცველი **პიოტრ ტროხოვსკი** ერთი წლით დორტმუნდის "ბორუსიაში" გაანათხოვროს. BVB-ს ამ ფეხბურთელის შეძენა სურდა, მაგრამ ეს გამორიცხულია, რადგან "ჰამბურგს" ტროხეს გაყიდვა არ სურს. თუმცა HSV-ს მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** არ მალავს, რომ გერმანიის ნაკრების ნახევარმცველს სასტარტო შემადგენლობაში არ მოიაზრებს. სწორედ ამიტომ, "ჰამბურგი" ტროხოვსკის "დორტმუნდში" გაანათხოვრებს, სადაც ამ უკანასკნელს სასტარტოში მოხვედრა გარანტირებული აქვს, რადგან "ბორუსიას" **თომას დოლი** წვრთნის, კაცი, რომელიც "ჰამბურგში" მუშაობისას პიოტრს ენდობოდა.

ინგლისი. პრემიერლიგა 2007/08. კალენდარი

I ტური

შაბათი, 11 აგვისტო, 2007

არსენალი-ფულჰემი
ასტონ ვილა-ლივერპული
ბოლტონი-ნიუკასლი
ჩელსი-ბირმინგემი
დერბი-პორტსმუთი
ევერტონი-ვიგანი
მანჩესტერ იუნ.-რედინგი
მიდლსბრო-ბლეძბერნი
სანდერლენდი-ტოტენჰემი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი

II ტური

სამშაბათი, 14 აგვისტო, 2007

ბირმინგემი-სანდერლენდი
პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ.
რედინგი-ჩელსი
ტოტენჰემი-ევერტონი
ვიგანი-მიდლსბრო

ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 2007

ბლეძბერნი-ასტონ ვილა
ფულჰემი-ბოლტონი
ლივერპული-ვესტ ჰემი
მანჩესტერ სიტი-დერბი
ნიუკასლი-არსენალი

III ტური

შაბათი, 18 აგვისტო, 2007

ბირმინგემი-ვესტ ჰემი
ბლეძბერნი-არსენალი
ფულჰემი-მიდლსბრო
ლივერპული-ჩელსი
მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.
ნიუკასლი-ასტონ ვილა
პორტსმუთი-ბოლტონი
რედინგი-ევერტონი
ტოტენჰემი-დერბი
ვიგანი-სანდერლენდი

IV ტური

შაბათი, 25 აგვისტო, 2007

არსენალი-მანჩესტერ სიტი
ასტონ ვილა-ფულჰემი
ბოლტონი-რედინგი
ჩელსი-პორტსმუთი
დერბი-ბირმინგემი
ევერტონი- ბლეძბერნი
მანჩესტერ იუნ.-ტოტენჰემი
მიდლსბრო-ნიუკასლი
სანდერლენდი-ლივერპული
ვესტ ჰემი-ვიგანი

V ტური

შაბათი, 1 სექტემბერი, 2007

არსენალი-პორტსმუთი
ასტონ ვილა-ჩელსი
ბლეძბერნი-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-ევერტონი
ფულჰემი-ტოტენჰემი
ლივერპული-დერბი
მანჩესტერ იუნ.-სანდერლენდი
მიდლსბრო-ბირმინგემი
ნიუკასლი-ვიგანი
რედინგი-ვესტ ჰემი

VI ტური

შაბათი, 15 სექტემბერი, 2007

ბირმინგემი-ბოლტონი
ჩელსი-ბლეძბერნი
დერბი-ნიუკასლი
ევერტონი- მანჩესტერ იუნ.
მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა
პორტსმუთი-ლივერპული
სანდერლენდი-რედინგი
ტოტენჰემი-არსენალი
ვესტ ჰემი-მიდლსბრო
ვიგანი-ფულჰემი

VII ტური

შაბათი, 22 სექტემბერი, 2007

არსენალი-დერბი
ასტონ ვილა-ევერტონი
ბლეძბერნი-პორტსმუთი
ბოლტონი-ტოტენჰემი
ფულჰემი-მანჩესტერ სიტი
ლივერპული-ბირმინგემი
მანჩესტერ იუნ.-ჩელსი
მიდლსბრო-სანდერლენდი
ნიუკასლი-ვესტ ჰემი
რედინგი-ვიგანი

VIII ტური

შაბათი, 29 სექტემბერი, 2007

ბირმინგემი-მანჩესტერ იუნ.
ჩელსი-ფულჰემი
დერბი-ბოლტონი
ევერტონი- ნიუკასლი
მანჩესტერ სიტი-მიდლსბრო
პორტსმუთი-რედინგი
სანდერლენდი-ბლეძბერნი
ტოტენჰემი-ასტონ ვილა
ვესტ ჰემი-არსენალი
ვიგანი-ლივერპული

IX ტური

შაბათი, 6 ოქტომბერი, 2007

არსენალი-სანდერლენდი
ასტონ ვილა-ვესტ ჰემი
ბლეძბერნი-ბირმინგემი
ბოლტონი-ჩელსი
ფულჰემი-პორტსმუთი
ლივერპული-ტოტენჰემი
მანჩესტერ იუნ.-ვიგანი
მიდლსბრო-ევერტონი
ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი
რედინგი-დერბი

X ტური

შაბათი, 20 ოქტომბერი, 2007

არსენალი-ბოლტონი
ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ.
ბლეძბერნი-რედინგი
ევერტონი-ლივერპული
ფულჰემი-დერბი
მანჩესტერ სიტი-ბირმინგემი
მიდლსბრო-ჩელსი
ნიუკასლი-ტოტენჰემი
ვესტ ჰემი-სანდერლენდი
ვიგანი-პორტსმუთი

XI ტური

შაბათი, 27 ოქტომბერი, 2007

ბირმინგემი-ვიგანი
ბოლტონი-ასტონ ვილა
ჩელსი-მანჩესტერ სიტი
დერბი-ევერტონი
ლივერპული-არსენალი
მანჩესტერ იუნ.-მიდლსბრო
პორტსმუთი-ვესტ ჰემი
რედინგი-ნიუკასლი
სანდერლენდი-ფულჰემი
ტოტენჰემი-ბლეძბერნი

XII ტური

შაბათი, 3 ნოემბერი, 2007

არსენალი-მანჩესტერ იუნ.
ასტონ ვილა-დერბი
ბლეძბერნი-ლივერპული
ევერტონი- ბირმინგემი
ფულჰემი-რედინგი
მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი
მიდლსბრო-ტოტენჰემი
ნიუკასლი-პორტსმუთი
ვესტ ჰემი-ბოლტონი
ვიგანი-ჩელსი

XIII ტური

შაბათი, 10 ნოემბერი, 2007

ბირმინგემი-ასტონ ვილა
ბოლტონი-მიდლსბრო
ჩელსი-ევერტონი
დერბი-ვესტ ჰემი
ლივერპული-ფულჰემი
მანჩესტერ იუნ.-ბლეძბერნი
პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი
რედინგი-არსენალი
სანდერლენდი-ნიუკასლი
ტოტენჰემი-ვიგანი

XIV ტური

შაბათი, 24 ნოემბერი, 2007

არსენალი-ვიგანი
ბირმინგემი-პორტსმუთი
ბოლტონი-მანჩესტერ იუნ.
დერბი-ჩელსი
ევერტონი- სანდერლენდი
ფულჰემი-ბლეძბერნი
მანჩესტერ სიტი-რედინგი
მიდლსბრო-ასტონ ვილა
ნიუკასლი-ლივერპული
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი

XV ტური

შაბათი, 1 დეკემბერი, 2007

ასტონ ვილა-არსენალი
ბლეძბერნი-ნიუკასლი
ჩელსი-ვესტ ჰემი
ლივერპული-ბოლტონი
მანჩესტერ იუნ.-ფულჰემი
პორტსმუთი-ევერტონი
რედინგი-მიდლსბრო
სანდერლენდი-დერბი
ტოტენჰემი-ბირმინგემი
ვიგანი-მანჩესტერ სიტი

XVI ტური

შაბათი, 8 დეკემბერი, 2007

ასტონ ვილა-პორტსმუთი
ბლეძბერნი-ვესტ ჰემი
ბოლტონი-ვიგანი
ჩელსი-სანდერლენდი
ევერტონი- ფულჰემი
მანჩესტერ იუნ.-დერბი
მიდლსბრო-არსენალი
ნიუკასლი-ბირმინგემი
რედინგი-ლივერპული
ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი

XVII ტური

შაბათი, 15 დეკემბერი, 2007

არსენალი-ჩელსი
ბირმინგემი-რედინგი
დერბი-მიდლსბრო
ფულჰემი-ნიუკასლი
ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
მანჩესტერ სიტი-ბოლტონი
პორტსმუთი-ტოტენჰემი
სანდერლენდი-ასტონ ვილა
ვესტ ჰემი-ევერტონი
ვიგანი-ბლეძბერნი

XVIII ტური

შაბათი, 22 დეკემბერი, 2007

არსენალი-ტოტენჰემი
ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი
ბლეძბერნი-ჩელსი
ბოლტონი-ბირმინგემი
ფულჰემი-ვიგანი
ლივერპული-პორტსმუთი
მანჩესტერ იუნ.-ევერტონი
მიდლსბრო-ვესტ ჰემი
ნიუკასლი-დერბი
რედინგი-სანდერლენდი

XIX ტური

ოთხშაბათი, 26 დეკემბერი, 2007

ბირმინგემი-მიდლსბრო
ჩელსი-ასტონ ვილა
დერბი-ლივერპული
ევერტონი- ბოლტონი
მანჩესტერ სიტი-ბლეძბერნი
პორტსმუთი-არსენალი
სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ.
ტოტენჰემი-ფულჰემი
ვესტ ჰემი-რედინგი
ვიგანი-ნიუკასლი

XX ტური

შაბათი, 29 დეკემბერი, 2007

ბირმინგემი-ფულჰემი
ჩელსი-ნიუკასლი
დერბი-ბლეძბერნი
ევერტონი- არსენალი
მანჩესტერ სიტი-ლივერპული
პორტსმუთი-მიდლსბრო
სანდერლენდი-ბოლტონი
ტოტენჰემი-რედინგი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
ვიგანი-ასტონ ვილა

XXI ტური

სამშაბათი, 1 იანვარი, 2008

არსენალი-ვესტ ჰემი
ასტონ ვილა-ტოტენჰემი
ბლეძბერნი-სანდერლენდი
ბოლტონი-დერბი
ფულჰემი-ჩელსი
ლივერპული-ვიგანი
მანჩესტერ იუნ.-ბირმინგემი
მიდლსბრო-მანჩესტერ სიტი
ნიუკასლი-ევერტონი
რედინგი-პორტსმუთი

XXII ტური

შაბათი, 12 იანვარი, 2008

არსენალი-ბირმინგემი
ასტონ ვილა-რედინგი
ბოლტონი-ბლეძბერნი
ჩელსი-ტოტენჰემი
დერბი-ვიგანი
ევერტონი- მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ.-ნიუკასლი
მიდლსბრო-ლივერპული
სანდერლენდი-პორტსმუთი
ვესტ ჰემი-ფულჰემი

XXIII ტური

შაბათი, 19 იანვარი, 2008

ბირმინგემი-ჩელსი
ბლეძბერნი-მიდლსბრო
ფულჰემი-არსენალი
ლივერპული-ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი
ნიუკასლი-ბოლტონი
პორტსმუთი-დერბი
რედინგი-მანჩესტერ იუნ.
ტოტენჰემი-სანდერლენდი
ვიგანი-ევერტონი

XXIV ტური

სამშაბათი, 29 იანვარი, 2008

არსენალი-ნიუკასლი
ბოლტონი-ფულჰემი
დერბი-მანჩესტერ სიტი
მიდლსბრო-ვიგანი
სანდერლენდი-ბირმინგემი
ვესტ ჰემი-ლივერპული

ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2008

ასტონ ვილა-ბლეძბერნი
ჩელსი-რედინგი
ევერტონი- ტოტენჰემი
მანჩესტერ იუნ.-პორტსმუთი

XXV ტური

შაბათი, 2 თებერვალი, 2008

ბირმინგემი-დერბი
ბლეძბერნი-ევერტონი
ფულჰემი-ასტონ ვილა
ლივერპული-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-არსენალი
ნიუკასლი-მიდლსბრო
პორტსმუთი-ჩელსი
რედინგი-ბოლტონი
ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
ვიგანი-ვესტ ჰემი

XXVI ტური

შაბათი, 9 თებერვალი, 2008

არსენალი-ბლეძბერნი
ასტონ ვილა-ნიუკასლი
ბოლტონი-პორტსმუთი
ჩელსი-ლივერპული
დერბი-ტოტენჰემი
ევერტონი- რედინგი
მანჩესტერ იუნ.-მანჩესტერ სიტი
მიდლსბრო-ფულჰემი
სანდერლენდი-ვიგანი
ვესტ ჰემი-ბირმინგემი

XXVII ტური

შაბათი, 23 თებერვალი, 2008

ბირმინგემი-არსენალი
ბლეძბერნი-ბოლტონი
ფულჰემი-ვესტ ჰემი
ლივერპული-მიდლსბრო
მანჩესტერ სიტი-ევერტონი
ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ.
პორტსმუთი-სანდერლენდი
რედინგი-ასტონ ვილა
ტოტენჰემი-ჩელსი
ვიგანი-დერბი

XXVIII ტური

შაბათი, 1 მარტი, 2008

არსენალი-ასტონ ვილა
ბირმინგემი-ტოტენჰემი
ბოლტონი-ლივერპული
დერბი-სანდერლენდი
ევერტონი- პორტსმუთი
ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
მანჩესტერ სიტი-ვიგანი
მიდლსბრო-რედინგი
ნიუკასლი-ბლეძბერნი
ვესტ ჰემი-ჩელსი

XXIX ტური

შაბათი, 8 მარტი, 2008

ასტონ ვილა-მიდლსბრო
ბლეძბერნი-ფულჰემი
ჩელსი-დერბი
ლივერპული-ნიუკასლი
მანჩესტერ იუნ.-ბოლტონი
პორტსმუთი-ბირმინგემი
რედინგი-მანჩესტერ სიტი
სანდერლენდი-ევერტონი
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი
ვიგანი-არსენალი

XXX ტური

შაბათი, 15 მარტი, 2008

არსენალი-მიდლსბრო
ბირმინგემი-ნიუკასლი
დერბი-მანჩესტერ იუნ.
ფულჰემი-ევერტონი
ლივერპული-რედინგი
მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი
პორტსმუთი-ასტონ ვილა
სანდერლენდი-ჩელსი
ვესტ ჰემი-ბლეძბერნი
ვიგანი-ბოლტონი

XXXI ტური

შაბათი, 22 მარტი, 2008

ასტონ ვილა-სანდერლენდი
ბლეძბერნი-ვიგანი
ბოლტონი-მანჩესტერ სიტი
ჩელსი-არსენალი
ევერტონი- ვესტ ჰემი
მანჩესტერ იუნ.-ლივერპული
მიდლსბრო-დერბი
ნიუკასლი-ფულჰემი
რედინგი-ბირმინგემი
ტოტენჰემი-პორტსმუთი

XXXII ტური

შაბათი, 29 მარტი, 2008

ბირმინგემი-მანჩესტერ სიტი
ბოლტონი-არსენალი
ჩელსი-მიდლსბრო
დერბი-ფულჰემი
ლივერპული-ევერტონი
მანჩესტერ იუნ.-ასტონ ვილა
პორტსმუთი-ვიგანი
რედინგი-ბლეძბერნი
სანდერლენდი-ვესტ ჰემი
ტოტენჰემი-ნიუკასლი

XXXIII ტური

შაბათი, 5 აპრილი, 2008

არსენალი-ლივერპული
ასტონ ვილა-ბოლტონი
ბლეძბერნი-ტოტენჰემი
ევერტონი-დერბი
ფულჰემი-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-ჩელსი
მიდლსბრო-მანჩესტერ იუნ.
ნიუკასლი-რედინგი
ვესტ ჰემი-პორტსმუთი
ვიგანი-ბირმინგემი

XXXIV ტური

შაბათი, 12 აპრილი, 2008

ბირმინგემი-ევერტონი
ბოლტონი-ვესტ ჰემი
ჩელსი-ვიგანი
დერბი-ასტონ ვილა
ლივერპული-ბლეძბერნი
მანჩესტერ იუნ.-არსენალი
პორტსმუთი-ნიუკასლი
რედინგი-ფულჰემი
სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი
ტოტენჰემი-მიდლსბრო

XXXV ტური

შაბათი, 19 აპრილი, 2008

არსენალი-რედინგი
ასტონ ვილა-ბირმინგემი
ბლეძბერნი-მანჩესტერ იუნ.
ევერტონი- ჩელსი
ფულჰემი-ლივერპული
მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი
მიდლსბრო-ბოლტონი
ნიუკასლი-სანდერლენდი
ვესტ ჰემი-დერბი
ვიგანი-ტოტენჰემი

XXXVI ტური

შაბათი, 26 აპრილი, 2008

ბირმინგემი-ლივერპული
ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
დერბი-არსენალი
ევერტონი- ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი-ფულჰემი
პორტსმუთი-ბლეძბერნი
სანდერლენდი-მიდლსბრო
ტოტენჰემი-ბოლტონი
ვესტ ჰემი-ნიუკასლი
ვიგანი-რედინგი

XXXVII ტური

შაბათი, 3 მაისი, 2008

არსენალი-ევერტონი
ასტონ ვილა-ვიგანი
ბლეძბერნი-დერბი
ბოლტონი-სანდერლენდი
ფულჰემი-ბირმინგემი
ლივერპული-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ.-ვესტ ჰემი
მიდლსბრო-პორტსმუთი
ნიუკასლი-ჩელსი
რედინგი-ტოტენჰემი

XXXVIII ტური

კვირა, 11 მაისი, 2008

ბირმინგემი-ბლეძბერნი
ჩელსი-ბოლტონი
დერბი-რედინგი
ევერტონი- მიდლსბრო
მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი
პორტსმუთი-ფულჰემი
სანდერლენდი-არსენალი
ტოტენჰემი-ლივერპული
ვესტ ჰემი-ასტონ ვილა
ვიგანი-მანჩესტერ იუნ.

ფაბიო კვალიარელა

მოსალოდნელი ტრანსფერები

კვალიარელა მანჩესტერს მოუნდა

ფერგი გუდიონსენის ტრანსფერზეც ფიქრობს

ინგლისური სააგენტოების ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" "სამდორიისა" და იტალიის ნაკრების თავდამსხმელ **ფაბიო კვალიარელათი** დაინტერესდა. ეს ინფორმაცია ფეხბურთელის აგენტმაც დაადასტურა. "დეილი ექსპრესმა" კი მოსალოდნელი გარიგება 10 მილიონ გირვანქად შეაფასა. კვალიარელამ სპეციალისტების ყურადღება "აძურიში" ჩატარებული სადებიუტო მატჩით მიიპყრო. ლიტვასთან შეხვედრაში (2:0) მან დუბლი შეასრულა. მოგეხსენებათ, "იუნაიტედს" **ლუის საა** ჰყავს დაშავებული. ფრანგ თავდამსხმელს მუხლის ოპერაცია გაუკეთეს და ექვსთვიან შვებულებაში გაუშვეს. კვალიარელა საას შემცვლელად განიხილება. ფაბიოს ადვოკატი **სილვიო პალიარი** ამბობს: *"იუნაიტედი ერთი თვის წინ დაგვიკავშირდა და 10 მილიონი გირვანქას შემოგვთავაზა. ჩვენი შეფასებით, კვალიარელა 15-20 მილიონი ევრო ღირს. თუ წინადადება ძალაში დარჩება, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ფაბიო კარიერას კუნძულზე გააგრძელებს."*

ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებებს "უდინეზე" და "სამდორია" ინაწილებენ. თითოეულს იმედი აქვს, რომ 10 მილიონი ევრო შეხდება. მაგრამ კვალიარელას რეალისტური ფასი 15 მილიონია. ამიტომ კლუბებს ქამრების მოჭერა მოუწევთ. "სამდორიის" გენერალური მენეჯერი ბეპე მაროტა ამბობს: *"გადაჭრით მიჭირს რაიმეს თქმა. სიტუაციას მხოლოდ მას შემდეგ შევაფასებთ, რაც ყველა დეტალი გვეცოდინება. ერთი რამ დაზუსტებით შემიძლია, მოგახსენოთ, ბედნიერები ვიქნებით, თუ ფაბიო გენუაში დარჩება. მაგრამ თუ ექსტრაორდინალური წინადადების მოგვმართავენ, ტრანსფერს ხელს არ შევუშლით."* ფეხბურთელის შეძენა "რომასაც" სურს. ჯალოროსი "სამდორიის" ხელთ არსებული 50 პროცენტის ყიდვას ფიქრობდა, თანაც არა თანხის, არამედ თავდამსხმელ **მირკო ვუჩინიჩისა** და მეკარე **ჯანლუკა კურჩის** სანაცვლოდ.

დავუბრუნდეთ "იუნაიტედს". კვალიარელა ერთადერთი ფორვარდი არ არის, რომელსაც ფერგი უთვალთვალებს. ესპანური გაზეთები გვაუწყებენ, რომ "ბარსელონასთანაც" ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. "ეშმაკებს" **ეიდურ გუდიონსენის** წაყვანა უნდათ და მზად არიან, სანაცვლოდ ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მცველი **ხერარდ პიკე** დათმონ. პიკემ, რომელსაც ლეგენდარულ **ფერნანდო იეროს** ადარებენ, გასული სეზონი იოჯარით "სარაგოსაში" გაატარა. იმ დროს, როცა კლუბები საერთო ენის გამონახვას ცდილობდნენ, ეიდური დაშავდა და ნაადრევი შვებულება გამოიწერა. გუშინწინდელ ვარჯიშზე ისლანდიელმა თავდამსხმელმა მუხლი იტკინა და "ხიმნასტიკთან" ბოლო ტურში ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, "ბარსამ" მოკრძალებული მეტოქე აუცილებლად უნდა დაამარცხოს, იმ იმედით, რომ "რეალი" "მალიორკასთან" კისერს ნაიმტვრევს. კატალონიელები მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოახერხებენ ტიტულის შენარჩუნებას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა
GEORGIA

ხელბურთი

ჭაბუკთა ნაკრები

ნორვეგიიდან კარპილეს თასამდე

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების ხელმძღვანელობა აგრძელებს გუნდის მომზადებას თვის ბოლოს ნორვეგიაში გასამართი "ტალანტების ფესტივალისთვის". როგორც უკვე გაცნობეთ, მწვრთნელებს – **ვახტანგ ბერიაშვილს, მამუკა მჟავანაძესა** და **გიორგი ქობელაშვილს** 20 ხელბურთელი ჰყავთ შეკრებილი სტუ-ს ბაზაზე. აქედან, სანორვეგიოდ უნდა ამოირჩეს 7 საუკეთესო.

გუშინ, ჭაბუკთა ნაკრებს ვარჯიშზე ვესტუმრე. პირველი, რაც თვალში გეცემა, ამ 14-15 წლის აღფრთოვანებული, გაბრწყინებული სახეებია. მათ ხომ საქართველოს პირველობის გარდა, არსად უთამაშიათ, არც უცხოეთში წასვლის საშუალება ჰქონიათ და სანაკრებო შეკრებაზეც პირველად არიან...

მწვრთნელები ძირითად ყურადღებას ფიზიკური კონდინციების გაუმჯობესებასა და ფსიქოლოგიურ მომზადებაზე აკეთებენ. მოთელვებს და სირბილს მოსდევს ორმხრივი სანვრთნელი მატჩები. დღეს, შეკრების ძირითადი ნაწილი დასრულდება, ნორვეგიაში წასასვლელი 7 ჭაბუკიც ამოირჩევა და მათი სავიზო საბუთების მოგვარება დაიწყება. დარჩენილ შვიდეულს მწვრთნელები ინდივიდუალურად მოამზადებენ. ამას გარდა, არც ის არის გამორიცხული, რომ ნორვეგიაში წასვლამდე, უფროსი ასაკის ხელბურთელების გვერდით მოამზადონ.

ვარჯიშის შემდეგ, გავესაუბრეთ მამუკა მჟავანაძეს და ხელბურთის ასოციაციის გენერალურ მდივან **ზურაბ კაკაბაძეს**.

მამუკა მჟავანაძე: - კარგი ბავშვები არიან, მაგრამ ტრადიციული ქართული სენი – სუსტი ფიზიკური მომზადება თვალშისაცემია. კარგი იქნება, თუკი მწვრთნელები ყველას თუ არა, ნაკრების კანდიდატებს მაინც მოამზადებენ უკეთ.

სასიამოვნოა, რომ მოგვეცა საშუალება, ხელბურთელები ნორვეგიაში გავუშვათ. ისინი "ტალანტების ფესტივალზე" ბევრ ისეთ რამეს შეიძენენ, რისი სწავლის საშუალებაც საქართველოში არ აქვთ – გაიცნობენ უცხოელ თანატოლებს, ჩაატარებენ საერთაშორისო მატჩებს და საკუთარ თავს გამოცდიან სავსე ტრიბუნების წინ. ამასთან, ნორვეგიაში უფრო კარგად დავინახავთ მათ რეალურ ფიზიკურ, ტექნიკურ თუ ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს, რის შემდეგაც ნაკლოვანებების გამოსწორებაზე ვიმუშავებთ.

ზურაბ კაკაბაძე: - როგორც იცით, ნორვეგიელებთან უვადო ხელშეკრულება გვაკავშირებს. ყოველი წლის ბოლოს და მათ შორის, ამ შემოდგომით, გადავხედავთ ხოლმე შესრულებულ სამუშაოებს და მომავალი სეზონის გეგმებს დავსახავთ.

"ტალანტების ფესტივალიდან" დაბრუნებულ 1992 წლამდე დაბადებულ ჭაბუკთა შვიდკაციან გუნდს დავუმატებთ რამდენიმე ერთი წლით უფროსს და აგვისტოში ისევ ნორვეგიაში გავუშვებთ – ამჯერად, 16-კაციან გუნდს, მხოლოდ შეკრებაზე.

ამ ასაკის ხელბურთელების ყველაზე დიდი შეჯიბრება გაისად, შვედეთში გასამართი "ეუროპეან ოუფენია", რომელიც მსოფლიო მასტაბის ტურნირის – "კარპილეს თასის" ფარგლებში ტარდება. თუკი ფინანსური საშუალება გვექნება, ამ ტურნირზე გუნდს აუცილებლად გავუშვებთ.

კობა ხატისაშვილი

ჭიდრაჭი

მაია ჩიბურდანიძის თასი

პირველი მაინც პირველია!

დასრულდა მაია ჩიბურდანიძის სახელობის რიგით მეორე, მაგრამ საერთაშორისო სტატუსით პირველი ტურნირი. ბოლო ტურში პირველ დაფებზე, რომელიც ქადრაკის სასახლის სცენაზე იდგა, დიდ ვნებათაღელვას ველოდით და ასეც მოხდა, მაგარმ ერთმა ფაქტმა გვარიანად წაგვიხდინა გუნება, - მეორე დაფაზე ლიდერები - **თორნიკე სანიკიძე** და **ივერი ჭიღლაძე** ხვდებოდნენ. ვინც მოიგებდა, ტურნირის გამარჯვებული ხდებოდა, რადგანაც კოეფიციენტი სხვა ორი ლიდერზე უკეთესი ჰქონდათ. რომ ვიფიქრეთ, "დახოცავდნენ" ერთმანეთსო, სწორედ მაშინ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და ყაიმი დააფიქსირეს. ცხადია, შედეგი წინასწარ იყო შეთანხმებული და ნება რომ მიგეცა. სულაც არ გამოვიდოდნენ სათამაშოდ. ამჯერად მაყურებელს პატივი დაგვდეს და "ზრდილობის გულისთვის" რამდენიმე სვლა გააკეთეს.



ლევან ფანცულაია

საერთოდ, სპორტში რომ ანგარიშიანობა არსებობს, ვერ უარვყოფთ; ქადრაკში - მით უმეტეს... ისიც გასაგებია, რომ პროფესიული სპორტით სპორტსმენი სარჩოს მოიპოვებს და ისეთ ტურნირებზე ცდილობს თამაშს, სადაც დიდი საპრიზო ფონდია. ასეთი იყო წლევანდელი ჩიბურდანიძის ტურნირიც - 10 000 ლარი ჰქონდა საპრიზო ფონდად და ლამის ყველა ძლიერმა ქართველმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა - გარდა ნაკრების წევრებისა და ორიოდ კანდიდატისა. თავისთავად, დიდი საპრიზო ფონდი ტურნირის პრესტიჟსაც ამაღლებს და იქ გამარჯვება მეტად მნიშვნელოვანია ყველასთვის, ფული კი მეორეხარისხოვანი ხდება.

ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს, იმიტომ, რომ სპორტში ყველაზე მეტად მაინც გამარჯვება ფასობს და ყოველსა მოსახვეჭელსა, სახელის მოხვეჭა სჯობს. აქ კი რა მოხდა - ჭიღლაძემ და, უპირველესად, სანიკიძემ (რადგანაც თეთრებით თამაშობდა) ორიოდ გროში არჩიეს სახელსა და პატივს - ჩიბურდანიძის სახელობის ტურნირის გამარჯვებულის ნოდება, როგორც ჩანს, მათ კარიერაში სათანადო ადგილს ვერ დაიკავებდა - გარანტირებული ათასი ლარი უფრო ტკბილი და ძვირფასი ყოფილა...

მორალისტობას არ ვიბრალებ, მაგრამ ასეთი რამ თითქმის ყოველთვის ხდება ქართულ ჭადრაკში და კაცი არ არის, ამაზე ხმა რომ აიმაღლოს. კულუარებში ყველა ლაპარაკობს, შემდეგ ეს ხმები "ზემოთაც" მიდის, საზოგადოებაშიც გაიბნევა და მერე უკვირთ, რატომ არ გვწყალობენო მოჭადრაკეებს. ღვთის მადლით, ვიღაცამ ფული გამოყო, თამაშის საშუალება მოგცა, იღბალმაც გადმოგხედა და წარმატებულად თამაშობ, სალაპარაკოდ რატომ იხდი საქმეს, - ბარემ ბოლომდე გაიტანე ლელო - ამით ხომ უფრო მეტ თანხას მოიპოვებ, თუ წააგებ - ბევრსაც არაფერს კარგავ, სანაცვლოდ საკუთარი მისამართით საქებარ სიტყვებს მრავლად მოისმენ...

სიტყვა გამიგრძელდა, ამიტომ მთავარზე ვთქვათ. პირველ დაფაზე **გაიოზ ნიგალიძე** თეთრებით **ლევან ფანცულაიას** ხვდებოდა. ნიგალიძე მთელი ტურნირი კარგ ჭადრაკს აჩვენებდა და ბოლო ტურშიც ასეთსავე გარჯას ველოდით მისგან, მაგრამ ამჯერად სათანადოდ ვერ ითამაშა - დებიუტში შეცდა და იოლად, საათნახევარში წააგო. ფანცულაია ტურნირის პირველი ნომერი იყო, თუმც სტარტი კარგი არ ჰქონდა. ფავორიტმა მაინც შეძლო ძალების მობილიზება და საბოლოოდ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ამისთვის მას 3000 ლარი ერგო ჯილდოდ. სანიკიძესა და ჭიღლაძეს კი - 1700; მათსავით 7 ქულა და 1700 ლარი **დავით არუთინიანმა** მოიპოვა, რომელმაც ბოლო ტურში **გიორგი ბაღათუროვი** დაამარცხა.

საპრიზო პირველი ათი ადგილი იყო, მაგრამ ქალთა შორისაც ვლინდებოდა სამი საუკეთესო შედეგი და ისე გამოვიდა, რომ სამივე ათეულში აღმოჩნდა, დებულებით კი მონაწილემ ერთი უმაღლესი პრიზი უნდა აიღოს. **ინგა ჭარხალაშვილმა** მეექვსე, **მაია ლომინეიშვილმა** - მეშვიდე, **ნინო ბაციაშვილმა** კი - მერვე ადგილები დაიკავეს. სამივეს 6.5 ქულა დაუგროვდა, ადგილები კოეფიციენტის მიხედვით განაწილდა, თანხა კი თანაბრად გაიყო - 600 ლარი შეხვდა თითოეულს. ათეულს **თამარ წერეთელი** ასრულებს, რომლის მარაგშიც 6 ქულაა, თანხა კი - 460 ლარი. ამდენივე ერგოთ მომდევნო ხუთ ადგილზე გასულთ - **ბეგლარ ჯობავას, ლევან არაშიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, ხვიჩა სუპატაშვილს და გიორგი ბაღათუროვს.** ესენი საპრიზო ათეულში იმიტომ მოხვდნენ, რომ კიდევ რამდენიმე მონაწილემ ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვა. მაგალითად **გაიოზ ნიგალიძემ** 700 ლარი 20-წლამდელთა შორის საუკეთესო შედეგისთვის მიიღო, **გიგა ყუფარაძემ** კი ამავე ასაკში მეორე ადგილისთვის - 600 ლარი. აქ მესამეზე **სალომე მელიაა**, რომელმაც 400 ლარით შეივსო ბიუჯეტი.

აქვე წარმოგიდგენთ სხვა ასაკობრივ ჯგუფებში გამარჯვებულებს: 18 წლამდე: **1. ლუკა პაიჭაძე, 2. ლევან ბრეგაძე, 3. დავით ლომსაძე;** 14 **წლამდე: 1. ნინო ანაკიძე; 2. ულვი ბაჯარანი, 3. არნოლდ თამაზიანი,** 10 **წლამდე: 1. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, 2. მამუკა ანთაძე, 3. ნინო ხომერიკი.** ქალბატონ **თამარ ხმიადაშვილს** სპეციალური პრიზი გადაეცა, როგორც სენიორთა შორის საუკეთესო შედეგის მქონეს.

ტურნირის დასრულების შემდეგ, 19 საათზე ტურნირი საზეიმოდ დაიხურა. დაჯილდოვდნენ პრიზიორები და გამარჯვებულები. ტურნირის ორაგნიზატორმა **ნინო გურიელმა** ყველას მადლობა გადაუხადა და დაგვპირდა, რომ შემდეგი ტურნირი ბევრად მაღალი დონის და წარმატებული პროექტი იქნება. ამის სურვილი გამოთქვა **მაია ჩიბურდანიძემაც**. ცხადია, მანაც ყველას მადლობა გადაუხადა მონაწილეობისთვის.

პირველი ათეული: 1. ლევან ფანცულაია - 7,5; 2. ივერი ჭიღლაძე - 7; 3. თორნიკე სანიკიძე - 7; 4. დავით არუთინიანი - 7; 5. გაიოზ ნიგალიძე - 6,5; 6. ინგა ჭარხალაშვილი - 6,5; 7. მაია ლომინეიშვილი - 6,5; 8. ნინო ბაციაშვილი - 6,5; 9. გიგა ყუფარაძე - 6; 10. თამარ წერეთელი - 6.

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

პირველი წრე იკმარეს

ვაჟთა ჩოგბურთში საერთაშორისო ტურნირებიდან კარგა ხანია, ერთი სასიხარულო ცნობაც კი არ მიგვიღია, **ირაკლი ლაბაძე** საერთოდ ვერ თამაშობს, **ლადო ჩიხლაძე** ტრავმის შემდეგ ახლახან დაბრუნდა და ფორმაში არაა, სხვები კი ძალიან სუსტ შედეგებს აჩვენებენ. უკრაინის ქალაქ ჩერკასიში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ძირითად ბადეში ორი ქართველი მონაწილეობდა, **ნოდარ ითონიშვილმა** ადგილი ბადეში ბრძოლით მოიპოვა ხოლო **გიორგი ხრიკაძეს** ორგანიზატორებმა "უაილდ ქარდი" მისცეს. ჩვენებურთათვის ესეც მიღწევა იყო. სამწუხაროდ, მათ პირველი ეტაპის გადალახვა ვერ შეძლეს. ნოდარ ითონიშვილი მე-7 ნომრად განთესილ **ალექსანდრ იარმოლას** (766) ებრძოლა - 4:6, 7:5, 4:6. ხრიკაძის მეტოქე გერმანელი **მარტინ ემერიხი** (1181) იყო, შედეგი კი თითქმის ანალაგიური - 6:3, 3:6, 1:6. სამაგიეროდ, ხრიკაძისა და ითონიშვილის დუეტმა წყვილთა თანრიგში ერთი წრე დაძლია და მეოთხედფინალში გავიდა.

კალაშნიკოვა გერმანიაში

გერმანიის ქალაქ ოფენბახში მიმდინარეობს 18-წლამდელ ჩოგბურთელთა პირველი კატეგორიის ტურნირი, სადაც 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** მე-5 ნომრად არის განთესილი. 18-წლამდელთა მსოფლიო კლასიფიკაციაში 25-ე ჩოგანი პირველ წრეში ისვენებდა. მეორე წრეში ოქსანა გერმანელ **ლინდა ბერლინსკეს** შეხვდა და 6:2, 6:2 მოუგო. ტურნირის მერვედფინალში ოქსანა კალაშნიკოვა გერმანელ **მარა ნოვაკს** შეხვდება. წყვილთა თანრიგში რუმინელ **ირინა ბეგუსთან** ერთად კალაშნიკოვა ოფენბახში მეორე ნომრად განთესეს. მათ პირველი წრე იოლად გაიარეს, გერმანული წყვილი (ჰანსენი, ვაინრაიხი) დაამარცხეს - 6:1, 6:0.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩაბბი

აია-ხარები 35:7

აია (ქუთაისი): (1-15) **იობიძე, სხულუხია (ფრუიძე), ნ.გიორგაძე (კიკვაძე), ო.ხარატიშვილი, ყუბანეიშვილი, სირბილაძე (ტორაძე), ჩიქვინიძე (მოდებაძე), თ.ძაგნიძე, როხვაძე, ზვიადაძე, კვერნაძე (ხარატიშვილი), გუდავა (ბალანჩიავაძე), ჩხიკვაძე (სინაურიძე), შალამბერიძე, სორდია** - *5ლ (სირბილაძე-2, ზვიადაძე, როხვაძე, სორდია); 2გ (ზვიადაძე), 2ს (ზვიადაძე, სინაურიძე)*

ხარები (რუსთავი): მაჭარაშვილი (კაპანაძე), კაკაბაძე, ბალახაშვილი, ბასილაშვილი (აზნაიშვილი), ყოჩიაშვილი (კობახიძე), კაპანაძე, ნანიევი, ქარუხნიშვილი, ზირაქიშვილი, ლობჟანიძე, სამსონიძე, დევიძე (ღამბაშიძე), თევზაძე, წიკლაური, შუბითიძე - ლ, გ (ლობჟანიძე)

შარშანდელი წარუმატებელი სეზონის შემდეგ ქუთაისის „აიას" ხელმძღვანელებმა შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადაახალისეს. გუნდში არაერთი ახალგაზრდა მორაგბე გამოჩნდა, რომლებმაც „აია" მნიშვნელოვნად გაძლიერეს. ქუთაისური გუნდი თამაშიდან თამაშამდე უკეთესად გამოიყურება და თუ ასე გააგრძელა, უმაღლეს ლიგაში დანინაურებაც არ გაუჭირდება.

ბოლო ტურში რიონისპირელები უშუალო კონკურენტს, რუსთავის „ხარებს" მასპინძლობდნენ. ამ გუნდების პირველი შეხვედრა თბილისში რუსთაველთა გამარჯვებით 10:6 დასრულდა და ქუთათურები რევანშისთვის იყვნენ განწყობილი.

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

აი, ნამდვილი აია!

ცოტა ხნის წინათ, „აიასა" და „ყოჩების" სათასო დაპირისპირებისას მომხდარი ინციდენტის გამო ქუთაისის სარაგბო სკოლის სტადიონს დისკვალიფიკაცია ჰქონდა. გუნდის ხელმძღვანელები მთელი კვირის განმავლობაში ეძებდნენ ალტერნატიულ ვარიანტს. საბოლოოდ მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე გადაწყდა, რომ მატჩი „ტორპედოს" სტადიონზე გაიმართებოდა.

მასპინძლებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა. ისინი ფიზიკურადაც სჯობდნენ მეტოქეს და შეტევებსაც სწრაფად ანვითარებდნენ. 11- წუთზე ქუთაისელებს დანინაურება შეეძლოთ, მაგრამ **ზურაბ ზვიადაძემ** ძალზე ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმა ვერ გამოიყენა. ზვიადაძეს შეცდომის გამოსწორების საშუალება ორ წუთში მიეცა, ამჯერად მან გაცილებით რთული პოზიციიდან შეასრულა დარტყმა და ანგარიში გახსნა - 3:0.

18-წუთზე ქუთაისელთა სწრაფი შეტევა **გელა სირბილაძემ** მარცხენა ფლანგზე დააგვირგვინა. ზვიადაძე გარდასახვისას ზუსტი იყო -10:0. მალე რუსთაველებმა **სორდიას** შებოჭვა ვერ მოახერხეს, მისი რეიდის შემდეგ ბურთი ზვიადაძემ ჩაიგდო ხელთ და სტუმრები დაალელოვა - 15:0. მალე **გიორგი როხვაძემ** კიდევ ერთი ლელო გაიტანა- 20:0. ტაიმიც ასე მორჩა.

„აია" მეორე ნახევარშიც არ მოდუნებულა. კვლავ შეუჩერებელი იყო ახალგაზრდა გელა სირბილაძე, რომელმაც მორიგი ლელო გაიტანა - 25:0. ამის შემდეგ რუსთავული გუნდი მთლიანად მოიშალა და შეცდომებს უმატა. რუსთაველებმა მოედნის ცენტრში დაკარგეს ბურთი, რომელიც სორდიამ იგდო ხელთ და ლელომდე ისე მიიტანა. ხელი არავის შეუშლია. ზვიადაძემ გარდასახვა ამჯერად ზუსტად შეასრულა. მალე ჯარიმიდან **სინაურიძემ** იხეირა და „აია" კიდევ უფრო დანინაურდა -35:0.

მატჩის ბოლოს ქუთაისელები მოეშვნენ და სტუმრებმა ანგარიშის დასვლება მოახერხეს. „ხარების" შეტევა **ლობჟანიძის** ლელოთი დასრულდა, გარდასახვაც მანვე შეასრულა და საბოლოო ანგარიში დაფიქსირა - 35:7.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

პირველი ლიგა: აკადემია-ყოჩები 2 34:15, ხარები-აია 10:6; ხარები-აკადემია 28:35, ყოჩები 2-აია 3:67, აია-აკადემია 31:14, ყოჩები 2-ხარები 3:93; აია-ხარები 35:7

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲰᲔᲚᲘᲗᲒᲣᲠᲗᲘ



საქართველოს ნაკრების ნევრები საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით ჩამოვიდნენ - ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე. მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში ჩვენი გაზეთის მკითხველი ზაზასაც შეხვდა, ნიკასაც, გიორგისაც და ვატოსაც. დაგვრჩა ვიქტორ სანიკიძე, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ამერიკას მიაშურა და ფლორიდაზე დაისვენა.

- ამერიკაში ცოტა ხნით ვიყავი, მაგრამ მაინც კმაყოფილი დავბრუნდი. მაიამიში ამერიკაში მოთამაშე მეგობრებთან ერთად ვიყავი - დავით საყვარელიძესთან და ლაშა ფარღალავასთან. კარგად დავისვენე.

- ვარჯიშს უკვე შეუდექი?

- ნელ-ნელა ვიწყებ. ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად შევდივარ ფორმაში.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

მადრიდი, მოსკოვი, მაიამი, სან ანტონიო, თბილისი...

- მათზე ერთი წლით უფროსი ხარ. წელს ვეღარ დაეხმარები. როგორ ფიქრობ, რას იზამენ ევროპის ჩემპიონატზე?

- გულახდილად ვიტყვი - ძალიან გაუჭირდებათ, რადგან ევროპის საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ მოუწევთ თამაში. რთული იქნება, იმიტომაც, რომ ეს გუდი ახალი შეკრებილია - უმეტესობას გვერდიგვერდ აქამდე არ უთამაშია. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მჯერა, რომ აუტსაიდერები არ იქნებიან და მიზანს მიაღწევენ - A ლიგაში ადგილს შეინარჩუნებენ.

- ახალგაზრდებთან მომზადებული ამერიკაში მიემგზავრები...

- "სან ანტონიოდან" საზაფხულო გრაფიკი მივიღე, თუმცა დეტალურად ჯერ არაფერი წერია. ის კი წინასწარ ვიცი, რომ 5 ივლისიდან 16-მდე ამერიკაში უნდა ვიყო და "სან ანტონიოსთან" ერთად კემპებში ვითამაშო.

- 5-დან 16 ივლისამდე ორი კემპი ესწრება - იუტასი და ლას-ვეგასის...

- "სპურზი" სწორედ ამ ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას და მეც სხვა ახალწვეულების გვერდით მომიწევს თამაში.

- თამაში კარგია, დარჩენა უკეთესი...

- ყოველ კემპზე იმიტომ მივდივარ, რომ დარჩენის შანსი არსებობს. ასე რომ არ იყოს, ივლისის დასაწყისს საქართველოში გავატარებდი და ნაკრებს დამშვიდებული შევუერთდებოდი. ისიც კარგად მესმის, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული - თუ თავს სათანადოდ წარმოვაჩენ, "სან ანტონიოში" დარჩენის შანსიც გაიზრდება.

- NBA-ს ფინალურ სერიას, ალბათ, თვალს ადევნებ.

- რა თქმა უნდა. მგონი, ამ მატჩებზე ჩემი კომენტარი ზედმეტია - "სან ანტონიო" NBA-ს საუკეთესო ორგანიზაციაა. პარკერის, ჯინობილისა და დანკანის შეჩერება დღესდღეისობით წარმოუდგენელია.

- ესპანურ "ესტუდიანტესთან" კონტრაქტი ისევ გაკავშირებს?

- შარშან ორწლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი და ერთი წელი კიდევ დამრჩა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ "ესტუში" 100 პროცენტით დავრჩები.

- როგორ?

- არსებობს სამი ვარიანტი - კარიერას NBA-ში გაგრძელება, რაც საზაფხულო ლიგაში ჩემს გამოსვლაზე იქნება დამოკიდებული, სხვა ესპანურ კლუბში გადასვლა (სხვათა შორის, შემოთავაზებები მაქვს და აჩქარებას არ ვაპირებ. მინდა ისეთ გუნდში ვითამაშო, სადაც მეტი დრო მომეცემა) და ისევ "ესტუდიანტესში" დარჩენა.

- მადრიდიდან წამოსვლის წინ სათამაშო დროის შესახებ "ესტუს" მწვრთნელებთან ხომ არ გისაუბრია?

- ვილაპარაკე და დამამშვიდებელი პასუხიც მივიღე. ხელმძღვანელობამ წლევანდელ ჩემპიონატში გუნდის გამოსვლა კატასტროფულად შეაფასა, რადგან ბოლო წლებში არათუ ფლეი ოფის, "ესტუ" ნახევარფინალს მიღმა არ დარჩენილა. წელს რვა გუნდშიც ვერ მოვხვდით. შესაბამისად გაისისთვის სერიოზული რეფორმები დაიგეგმა - ძველი შემადგენლობიდან სამი მოთამაშე და მთავარი მწვრთნელი დაგვტოვეს. ეს კი, ყველაფრის ახლიდან დაწყებას ნიშნავს, - მწვრთნელს ხელახლა უნდა დავუმტკიცო, რომ თამაში შემიძლია. წამოსვლის წინ გუნდის თავკაცთან ვისაუბრე და დამაიმედა - დრო გაგეზრდებაო. დანარჩენი მერე გამოჩნდება.

- ე.ი. შენითა და მწვრთნელით უკმაყოფილონი არ არიან.

- უფროსობა იმ კალათბურთელებზე იყო გაბრაზებული, რომლებიც მეტს თამაშობდნენ. შეზღუდულ დროში მე რა უნდა გადამეწყვიტა? რაც შეეხება მწვრთნელს, იგი გუნდში შუა სეზონში მოვიდა და ზედიზედ 10 მატჩი მოგვაგებინა (8 ესპანეთი პირველობაზე, ორიც ევროთასზე). მანამდე ცუდი მწვრთნელი გვყავდა. როცა გუნდს თავკაცობ, ტაქტიკური სქემების ხაზვის გარდა, ბიჭებთან ურთიერთობაც უნდა შეგეძლოს. ჩვენს მწვრთნელს კი ოჯახიც ბარსელონაში ჰყავდა - აქ ხელს შემიშლისო. გავარდნის პირას რომ მივედით, იგი მაშინ შეცვალეს. მას მერე თამაში გავაუმჯობესეთ, მაგრამ ფლეი ოფში ვერ მოვხვდით.

- ... თუმცა მწვრთნელთა ცვლილება შენს სათამაშო დროს არ დასტყობია.

- საქმე ისაა, რომ როცა სიტუაცია უკეთესობისკენ უნდა შეცვლილიყო, ბრმა ნაწლავის ოპერაცია დამჭირდა და თითქმის ერთი თვე დავისვენე.

- ბრმა ნაწლავი რუსული ვოიაჟის მერე აგტკივდა. რუსეთმა გაწყინა?

- სხვათა შორის, იმავეს აქაც მეუბნებოდნენ, აქაც ხუმრობით... "ხიმისთან" მატჩის წინა დღეები ისევე პრობლემური გამოდგა, როგორც მომდევნო. თავიდან რუსეთის ვიზას არ მაძლევდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფიბას ხელმძღვანელებმა რუსეთის კალათბურთის ფედერაცია შეაფუცხუნეს და დიდი წვალების შემდეგ განსხვავებული მოსანვევი მომცეს. მოსკოვში პასპორტის კონტროლი ყველაზე გვიან გავიარე და თანაგუნდელებს ეგონათ აეროპორტში დამტოვებდნენ. მაგრამ უნდა გენახათ ოვაციები მას შემდეგ, რაც რუსეთის ტერიტორიაზე ფეხი შევდგი და მათ შევუერთდი.

- "ხიმკის" დამარცხება ნამდვილად გამიხარდა.

- რუსეთიდან ესპანეთში მეც კარგი განწყობით ჩავედი, მაგრამ იმავე ღამეს, 5 საათისთვის მუცლის ტკივილმა გამომაღვიძა. მეგონა, გამივლიდა, მაგრამ ტკივილმა უფრო და უფრო იმატა. "ესტუს" კაპიტანს დავურეკე და ვუთხარი - მუცელი მაწუხებს და ვარჯიშზე ვერ მოვალ-მეთქი. ესპანეთში ასეთი მიზეზით საწვრთნელი პროცესის ჩაგდება წარმოუდგენელია, ამიტომ მალე კლუბის ექიმი დამადგა თავზე. გადაწყვიტა, საავადმყოფოში წავეყვანე და ზუსტი დიაგნოზი სურათზე დაყრდნობით დაესვა. შორტები ამოვიცვი და ჰოსპიტალში წავყევი, სადაც გადაჭრით მითხრეს - საოპერაციო ხარო. ვუთხარი, 3 დღეში დედაჩემი და ძმა მადრიდში ჩამოდიან და მათ დავეელოდები-მეთქი. ხელები გაასავსავეს, ვერ მოვიცდით, მანამდე შეიძლება გაგისკდესო. ამ დროს ჩემი ექიმიც მოვიდა და დამტვრეული იგლისურით მეუბნება - ოპერაციას დამწყები გიკეთებსო. გავგიჟდი, რაღა ჩემზე უნდა სცადოს პირველად-მეთქი, მაგრამ შემდეგ გავარკვიე, რომ გუნდის ექიმს სხვა რამის თქმა უნდოდა - ეს იმდენად იოლი ოპერაციაა, რომ დამწყები ქირურგებიც წარმატებით აკეთებენო.

- ევროტურნირების ფინალურ ოთხეულში უკვე ორჯერ ითამაშე.

- პირველად "დიჟონთან" ერთად ფიბას თასის ფინალში დავმარცხდი, ნლეულს კი ევროთასის ნახევარფინალში "ხირონასთან" წავაგეთ. მოკლედ, თან მიმართლებს (ფინალურ ოთხეულებში ვხვდები) და თან - არა (ორჯერვე დავმარხდი), ვეცდები გაისად მაინც მოვიგო რამე.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ბოისა საჩემპიონო ბილიკზე

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონატის ფინალური სერია წარმატებით დაიწყო **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკიმ" – შინ ბოლონიის "ვიდივიჩი" მშვიდად დაამარცხა (81:71).

ათქულიანი სხვაობა ზოგჯერ მშვიდ გამარჯვებას არ ნიშნავს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო – სიენელებმა პირველივე მეოთხედში მოიპოვეს მცირე უპირატესობა, რომელიც მეორე ათწუთეულის ბოლოს ათ ქულამდე გაზარდეს (46:36), მესამე პერიოდში – თოთხმეტამდე (64:50). შესაბამისად, მეოთხე რაუნდმა ფორმალური სახე შეიძინა – "მონტეპასკის" მსგავსი უპირატესობა წელს ხელიდან ერთხელაც არ გაუშვია.

ვლადიმერ ბოისა მოედანზე მეორე მეოთხედში გამოჩნდა და 6 წუთში ორი ორქულიანის აცილება მოასწრო, თუმცა დადებითი მაინც გააკეთა – თითო მოხსნა-პასი მიითვალა. ფინალური სერიის მეორე მატჩს "მონტეპასკი" ბოლონიაში 15 ივნისს გამართავს. აქვე შეგახსენებთ, რომ ერთი იტალიის ჩემპიონი უკვე გვყავს – **მანუჩარ მარკოიშვილმა** სერია-A 2003 წელს "ბენეტონთან" ერთად მოიგო.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲢᲧᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სპორტული მთაწმინდის სიურპრიზები

ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ V სპორტულმა არბენმა, ნიუ იორკის ცათამბჯენ ემპაიერ სტეიტ ბილდინგის ანალოგიურმა ასპარეზობამ, ახალი სახელები, ახალი რეკორდსმენები და ახალი სპონსორები გამოავლინა.

ვაჟთა შორის 26-31 გრადუსიანი დახრილობის 509,5 მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პედაგოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, 19 წლის **ირაკლი ჩუბინაშვილმა** დაძლია 7 წუთსა და 37,0 წამში. ეს არის ახალი რეკორდი, ვინაიდან განახლებული ფუნიკულიორის კიბე უკვე 1389 საფეხურიანია (ადრე იყო 1215). მასვე გადაეცა სპორტის აკადემიის მიერ ვაჟთა შორის გამარჯვებულისათვის დანესებული "ოქროს თასი".

მეორე ადგილი წილად ხვდა საგარეჯოელ მძლეოსანს **ფარმან ახმედოვს**, მესამე არბენის რეკორდსმენს - 8:03.0.

ქალთა შორის პირველი იყო 16 წლის **ნინო ჩუბინაშვილი** - თბილისის 192-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე - 10:43.0. ასე რომ, სპორტის აკადემიის თასი და "თბილისის მონოლითმშენის" მიერ ქალთა შორის გამარჯვებულისთვის დაწესებული "ოქროს თასი" ახლა დიდ დიღომში და-ძმა ჩუბინაშვილების ოჯახშია დავანებული...

ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის, თბილისი 89-ე საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლის, 10 წლის **კახაბერ კახაბრიშვილის** შედეგი იყო 12:42.0. მას გადაეცა კავშირ "გიორგის" სამახსოვრო საჩუქარი - გლობუსი.

"კავტრანსპროექტის" მიერ უხუცესი მორბენლისათვის დაწესებული პრიზი და სპორტის აკადემიის მეორე თასი 70 წლის მარათონელმა **ალექსანდრე თუთბერიძემ** დაიმსახურა - 15:17.0. აქვე დავძენთ, რომ ბატონი ალექსანდრე მთაწმინდის პარკის დეკორატორია. მისთვის მთაწმინდა, კუს ტბა და თბილისის ზღვა სახალისო საწვრთნელი პოლიგონია.

ამ უჩვეულო შეჯიბრებაში კვლავ ვიხილეთ პირველი არბენის გამარჯვებული, თადარიგის მაიორი, ამჟამად სპორტის აკადემიის დაცვის თანამშრომელი **გიორგი ვაშაყმაძე** - 13.44.0, რომელსაც ემპაიერ სტეიტ ბილდინგის ყოველწლიურ ზამთრის არბენში მონაწილეობა ოცნებად აქვს გადაქცეული. ტრადიციულად საასპარეზოდ ვიხილეთ მამა-შვილი **ოლეგ და დავით ხარაზიშვილები** - პირველის შედეგია 11:21.0, მეორისა - 9:39.0.

და-ძმა ჩუბინაშვილები

და კიდევ, ამჯერად ყველაზე შორიდან მოსული მონაწილე აღმოჩნდა ვანის რაიონის მკვიდრი **მერაბ დვალიშვილი**, რომელმაც მეოთხე საპატიო ადგილი დაიკავა.

ასპარეზობას უძღვებოდა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, ეროვნული კატეორიის მსაჯი **მამია ტუღუში** და თანამოაზრეთა გუნდი. საორგანიზაციო საქმიანობას კი წარმართავდა საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი "გიორგი" (თავმჯდომარე **გვანჯი მანია**).

არბენი, პირველ ყოვლისა, განხორციელდა მთავარი ორგანიზატორების, სპორტის აკადემიისა და კავშირ "გიორგის" დამსახურებით, რომლებსაც მხარში ამოუდგნენ ფუნიკულიორის პირველი რიგის სამუშაოთა დამპროექტებლები და მშენებლები: შპს "კავტრანსპროექტი" და სს "თბილისს მონოლითმშენი".

"კავტრანსპროექტის" დირექტორი ბატონი **ბორის მაისურაძე** არბენის მონაწილედაც მოგვევლინა და შედეგიც კარგი აჩვენა - 11:41.0, იგი მსოფლიო მოგზაურმა და გინესის მრავალგზის რეკორდსმენმა **ჯუმბერ ლეჟავამ** თავისი ახალგამოცემული ეგზოტიკური რუკით დააჯილდოვა.

ორიოდე კვირით ადრე გინესის მრავალგზის რეკორდსმენმა **გოდერძი მახარაძემ** თბილისის ფუნიკულიორის განახლებული კიბე თავით ფეხბურთის ბურთის კენწლით აირბინა - 23:21.0, ამ ასპარეზობით დაიწყო ახალი სპორტული მიმართულება მსოფლიოში - ყველა კონტინენტის მაღლივ ნაგებობათა თავბურთით დაძლევა...

მთაწმინდის პარკის და ფუნიკულიორის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია. ამბობენ, საზეიმო გახსნა-ცერემონიალი სექტემბრის დამდეგს იგეგმებაო და მთაწმინდის სპორტული არბენის ორგანიზატორებს ერთი ღამაზი განაცხადი აქვთ - პატარძალთა ასპარეზობა, რომლის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული საფუძველი საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხევსურეთშია.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠ "ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ" ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ



რობერტ ორი

ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲡᲞᲣᲠᲡᲘ

ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ?

ᲔᲠᲗᲘ, ორი, მაქსიმუმ კიდევ სამი შეხვედრა და **რობერტ ორი** თავის უნიკალურ კოლექციას კიდევ ერთ, რიგით მეშვიდე საჩემპიონო ბეჭედს შემატებს და... კალათბურთიდან წავა?

ორჯერ "ჰიუსტონის" (1994-95), სამჯერ "ლეიკერსისა" (2000-02) და ერთხელაც "სან ანტონიოს" (2005) რიგებში გაჩემპიონებული ორის თქმით, ეს ზაფხული ძალიან ბევრ რამეს გაარკვევს. საქმე ის ნამდვილად არაა, სჭირდება თუ არა ბებერი ფორვარდი **გრეგ პოპოვიჩს** (სჭირდება, რაზეც გრეგს არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება). არა, ყველაფერი თავად რობერტმა უნდა გადაწყვიტოს.

"ამ დონეზე სათამაშოდ ნებისმიერ სპორტსმენს აუცილებელი მოტივაცია სჭირდება. საკუთარ თავთან მარტო რომ დავრჩები, ყველაფერს ამის მერე გავარკვევ. უნდა ავწონ-დავწონო, მიღირს თუ არა NBA-ში დარჩენა. სიმართლე გითხრათ, არ მინდა, ვინმემ ფულზე დახამებულის იარლიყი მომაწებოს", - ამბობს ორი.

ESPN-ის ჟურნალისტთან საუბარში რობერტ ორიმ თავისი კარიერის დასრულება-გაგრძელების გარდა (ამ თემას კიდევ დავუბრუნდებით), ერთ საინტერესო საკითხზეც ისაუბრა. კერძოდ, მან დღევანდელი "სპურსი" 80-იანი წლების ლეგენდარულ "ლეიკერსსა" და "სელტიქსს" შეადარა და იქვე დასძინა - ამ გუნდით ერთსაც მოვუგებდით და მეორესაც.

"მაშინდელი კალათბურთელები ჩვენზე ნელები, ფიზიკურად სუსტები და დაუხვეწავები იყვნენ. მართალია, "ლეიკერსს" ჰყავდა მეჯიქი და ქარიმი, მაგრამ ტიმი და ტონი ამ წყვილზე არანაკლებ სახიფათოა. ჯონსონი სუფთა ფლეიმეიქერი იყო, ტონის კი გამთამაშებლობის გარდა, მსროლელის ფუნქციების შეთავსებაც შეუძლია", - ამბობს ორი.

აქ ნამეტანი მოუვიდა ვეტერან მოსაუბრეს. ტონი პარკერი 25-ქულიან მოთამაშედაც რომ იქცეს, **მეჯიქამდე** კი არა, **კევინ ჯონსონამდეც** ვერასოდეს მივა. ესთეტური თვალსაზრისით, ფრანგი დიდებულია, მაგრამ აზროვნება, საკალათბურთო ინტელექტი და კიდევ უთვალავი ნიუანსი მას ჯერ დასახვეწი აქვს.

დანკანი კი ჯაბარს ტიტულებში ჩამორჩება. ტიმი ყველა დროის საუკეთესო მძიმე ფორვარდად კი არის აღიარებული, მაგრამ იგივეს თქმა დანკანზე, როგორც ცენტრზე, არასწორია. **უილტ ჩემბერლენი, ჰაკიმ ოლაჯუონი, ბილ რასელი,** იგივე **ჯაბარი** და ალბათ, **დევიდ რობინსონიც** ტიმზე უკეთ ასრულებდნენ მეხუთე ნომრის მოვალეობებს.

მერე კი ორიმ საერთოდ "გაუბერა" და ასეთი რამ დაახეთქა: *"დანიელ გიბსონს რომ ვუყურებ, ლიგის მომავალს ვხედავ, ლებრონი კი უკვე იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე ჯორდანი ამ ასაკში".*

სერიაში 0:3 ჩამორჩენილი მეტოქის შეგულიანება და გამხნევება კარგი, ჯენტლმენური ნაბიჯია, მაგრამ თუ **გიბსონი** მომავალია, წარსულში დარჩენილა ოკეანისგაღმური ლიგა და ეგ არის. **ჯორდანისა** და ლებრონის შედარება კი არაკორექტულია. სანამ ლებრონი ჯორდანამდე მივა, მას ჯერ ქვედა ეშელონებში მყოფი ბობოლების დონემდე მიღწევა მართებს. ჯერ **დომინიკ უილკინსისა** და **კლაიდ დრექსლერის** ოსტატობას მიუახლოვდეს და "მის უჰაერესობამდე" მისვლის ამბავი მერე იყოს.

დერეკ ფიშერი, რომლის "იუტაც" დასავლეთის ფინალში "სპურსთან" 1:4 განადგურდა, დარწმუნებულია, რომ დღევანდელი "სან ანტონიო" იმ სამივე "ლეიკერსზე" ძლიერი გუნდია, რომლის რიგებშიც ფიშერი ზელიგის ჩემპიონი ხდებოდა. მას არ ეთანხმება ორი.

" 2001 წლის "ლეიკერსი", ჯორდანის "ჩიკაგოზე" ძლიერი თუ არა, იმ გუნდზე არანაკლები დომინანტი იყო. მაშინ, ფინალის გარდა ("ფილადელფიასთან" 4:1 - რედ.), ყველა სერია მშრალად მოვიგეთ და ის გუნდი რომ მართლა გუნდური პრინციპებით ყოფილიყო შევსებული, მეტსაც მივაღწევდით. რა გამოვიდა? ყველამ თავი ნომერ პირველ კალათბურთელად ჩათვალა და ბოსებისგან არანორმალური ხელფასი მოითხოვა. თანაც, ის "ლეიკერსი" არ აფასებდა იმ ხალხს, ვინც მართლა დასაფასებელი იყო. 2004-ში "დეტროიტთან" ფინალი რომ წააგეს, კარლ მელოუნს არც კი გაესაუბრნენ, ისე გაუშვეს გუნდიდან. არადა, კარლმა "ლეიკერსში" თამაშისთვის ვეტერანის ხელფასზე თანხმობა განაცხადა. იგივე განმეორდა პეიტონთან მიმართებაშიც, არადა, გარი მაშინ საკმაოდ კარგ ფორმაში იყო. ბოლოს, კობიმ და შაკმა ფული ვერ გაიყვეს და ბოსებმაც გუნდი დაშალეს. ამ მხრივ, "სპურსი" მართლაც სამაგალითოა. აქ არავინ საუბრობს ხელფასსა და თავის კონტრაქტზე. არავინ ეკიდება უპატივცემულოდ მეტოქეს და არავინ ითვლის ჩემპიონის ბეჭდებს", - განუცხადა მასმედიელებს ორიმ, რომლის გუნდსაც გამთენიისას "კლივლენდთან" სერიის მეოთხე მატჩი უნდა ჩაეტარებინა.

ვითომ, ეს შეხვედრა ორის გედის სიმღერა იქნებოდა?

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲐᲚᲡᲰᲐᲛᲐᲠᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲛᲝᲣᲮᲡᲜᲐ

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲨᲘ, "მარე ნოსტრუმის" საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობისას, 50 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიოს ახალი რეკორდი (გრძელ აუზში) დაამყარა ამავე დისტანციაზე მსოფლიოს შვიდმა ჩემპიონმა **ტერეზ ალსჰამარმა**. 29 წლის მოცურავემ 0.11 წამი მოაკლო თავისივე თანამემამულის, **ანა-კარინ კამერლინგის** ძველ რეკორდს, რომელიც მას 2002 წლის ივლისში ბერლინში, ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობისას ჰქონდა დამყარებული.

ასპარეზობის შემდეგ, ალსჰამარმა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონი წელეულს მელბურნში გახდა, განაცხადა, რომ რეკორდის დამყარებაში ბარსელონური ტურნირის მშვიდმა გარემომ შეუწყო ხელი: *"მელბურნში მე ძალიან სწრაფი ვიყავი, რისი წყალობითაც, მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. რეკორდთან მაშინაც ახლოს ვიყავი, მაგრამ ცოტა დამაკლდა. ალბათ იმიტომ, რომ ასპარეზობა დაძაბულ ატმოსფეროში მიწევდა. აქ კი სულ სხვა გარემო დამხვდა. მთავარი სტარტის წინ ნერვები კარგად დავიწყნარე და ამან ჩემს შედეგზე გადამწყვეტი გავლენა იქონია",* - განაცხადა რეკორდსმენმა, ვისი ახალი რეკორდიც არის 25.46 წამი.

აღსანიშნავია, რომ ბარსელონამდე, ამ არაოლიმპიურ დისტანციაზე ალსჰამარმა კარიერის საუკეთესო შედეგი 25.91 წამი იყო, რაც მან მელბურნის მსოფლიო ჩემპიონატზე აჩვენა. მის მსგავსად, კარიერის საუკეთესო შედეგის გაუმჯობესება შეძლო ჰოლანდიელმა **ინგე დეკერმა,** ვინც მელბურნში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. დეკერმა ამჯერად დისტანცია 26.01 წამში გაცურა და მეორე ადგილს დასჯერდა.

ტერეზ ალსჰამარი

რეკორდის დამყარების შემდეგ, ალსჰამარმა 50 მეტრზე თავისუფალ სტილშიც (ოლიმპიურ პროგრამაში შედის) იასპარეზა და იქაც ფინიშის დაფას პირველი შეეხო. ამჯერად დისტანცია მან 24.61 წამში გაცურა, რაც 0.01 წამით უკეთესი შედეგია, ვიდრე ის, რომლითაც მან მელბურნში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ცნობისთვის, ამ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდი (24.53 წამი) ავსტრალიელ **ლიბი ლენტონს** ეკუთვნის.

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

HTB-ᲙᲚᲣᲑᲘ (ᲣᲤᲚᲔᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უოქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ჩეხეთი-სერბეთი. ჰოლანდია.
14:10 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ინგლისი-იტალია. ჰოლანდია.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 კვირის მატჩი.
22:00 ევრო 2008. უკრაინის ნაკრები.
22:30 კოპა ამერიკას წინ.
23:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
01:00 რუსეთის ჩემპიონატი.
02:00 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ)

07:05 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. აშშ.
09:10 სპორტინფორმი.
09:20 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:45 აფრონსნობა. ამერიკის თასი.
10:15 სპორტინფორმი.
10:30 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-გრემიო (ბრაზილია).
12:15 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1983 წელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
14:00 ცურვა. Fina Mare Nostrum. ბარსელონა. ესპანეთი.
16:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
20:30 სპორტინფორმი.
20:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:10 აფრონსნობა. ამერიკის თასი.
21:40 სპორტინფორმი.
21:50 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
22:50 სპორტინფორმი.
23:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
23:35 აფრონსნობა. ამერიკის თასი.
00:05 სპორტინფორმი.
00:15 კრივი. რინგ-საიდი.
01:15 სპორტინფორმი.
01:25 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1983 წელი. ბრაიტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
03:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-გრემიო (ბრაზილია).
04:55 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. აშშ.

EUROSPORT

10:30 აფროსნობა.
10:45 მოტოსპორტი.
11:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
13:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". IV ეტაპი. საფრანგეთი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
17:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". V ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
23:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბრაზილია-კანადა. ბრაზილია.
00:45 რესტლინგი.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. რუსეთის გრან-პრი.
02:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. პოლონეთის გრან-პრი.
03:00 მოტოსპორტი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბრიტანეთი.
12:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბრიტანეთი.
13:30 მოტოსპორტი.
14:00 ახალი ამბები.
16:15 ავსტრალიური ფეხბურთი.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:30 მოტოსპორტი.
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. პორტუგალია (LIVE).
21:00 სერფინგი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
23:00 რაგბი. IRB. ერთა თასი. ბუქარესტი. რუმინეთი.
00:00 რაგბი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. სონი ანდერსონის ოუბილესადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი. ლიონი. საფრანგეთი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი. იაპონიის ლიგა.
04:00 ახალი ამბები.

ᲓᲔᲜᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ

"ᲩᲘᲙᲐ�გᲝ ᲑᲣᲚᲖᲘᲡ" ფორვარდი **ლუოლ დენგი,** გასული სეზონის შედეგების მიხედვით, ბრიტანეთის წლის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

დენგმა, შარშან, მიიღო ინგლისის მოქალაქეობა და ახლა ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ეს კალათბურთელი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ამ ქვეყნის ნაკრებში ითამაშებს.

გასულ რეგულარულ ჩემპიონატში, წარმოშობით სუდანელი კალათბურთელი საშუალოდ მატჩში 18.8 ქულასა და 7.1 მოხნას აგროვებდა.

ᲯᲔᲘᲛᲡᲘ ᲞᲝᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ

ᲡᲐᲘᲜᲤᲔᲠᲘᲡᲘ ინფორმაცია გავრცელდა გუშინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. "მინესოტა ტიმბერვულვზმა" და "ჰიუსტონ როკეტსმა" მოთამაშეთა გაცვლის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს.

კერძოდ, "მინესოტა" "ჰიუსტონში" გაუშვებს მცველ **მაიკ ჯეიმსს,** ხოლო მის ნაცვლად გამოცდილ ფორვარდს - **ჯუვან ჰოვარდს** დაიმატებს.

ᲚᲔᲢᲣᲕᲝᲡ ᲠᲘᲢᲐᲡᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲐ

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ვიცე-ჩემპიონმა - "ლეტუვოს რიტასმა" ახალი სეზონისთვის ამერიკელ გამთამაშებელ **ჰოლი პრაისთან** (27 წლის, 186 სმ) გააფორმა კონტრაქტი.

lrytas.lt-ის ცნობით, ამ კალათბურთელმა გასული სეზონი ესპანეთის ჩემპიონატში, კლუბ "კახა სან-ფერნანდოს" რიგებში ჩაატარა.

ამასობაში, "ლეტუვოს რიტასის" კალათბურთელებმა და გულშემატკივრებმა საესიამოვნო ამბავი შეიტყვეს. კერძოდ, ლიტვური კლუბი გაისად, ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. "ლეტუვოს რიტასმა" ევროლიგის საგზური მას შემდეგ გაიხადა, რაც ესპანეთის ჩემპიონატის ფინალში მადრიდის "რეალი" გავიდა. "სამეფო კლუბმა" ევროლიგაზე თამაშის უფლება ესპანეთის ჩემპიონატიდან მოიპოვა, არადა "რეალს" უკვე დაბეჭდებული ჰქონდა იქ გამოსვლა, რადგან ის ULEB-ის თასის მოქმედი მფლობელია. ახლა კი, ამ ტურნირიდან ევროლიგაზე ULEB-ის თასის ფინალისტი - "ლეტუვოს რიტასი" ითამაშებს.

ᲠᲐᲜᲘᲙᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ

რამდენიმე დღის წინათ ვწერდით, რომ ამ სეზონის შემდეგ, სლოვენიის "ოლიმპიას" რიგები ფინეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა - **ტეემუ რანიკომ** დატოვა.

ამ მცველმა საკმაოდ სწრაფად იპოვნა ახალი გუნდი. ფინელს იტალიის "ბენეტონისგან" და რუსეთის "ხიმკისგან" ჰქონდა წინადადებები და საბოლოოდ, რანიკომ რუსეთის ჩემპიონატში თამაში ამჯობინა. მან "ხიმკისთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝ 2007

UNDER 21

ჩეხეთი-სერბეთი	0:1
ინგლისი-იტალია	2:2

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

გაის-ელფსბორგი	2:1
გალბიო-პალმგალი	1:2

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ენჩოპინგი-ბიალბიუ	2:1
პაკენი-ლიუნგკილე	0:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

პამარბიუ-ნორჩოპინგი	1:2

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

იარო-ვიიკინგები	2:0
პაკა-ბამპერე	1:1
კბპ-ვა

ფორმულა 1

ვეტერანები რჩებიან

ფორმულა 1-ის ყველაზე ასაკოვანი პილოტები - **რუბენს ბარიკელო, ჯანკარლო ფიზიკელა** და **დევიდ ქულთარდი** მომავალი სეზონისთვის თავიანთ გუნდებთან კონტრაქტებს გააგრძელებენ.

წლეულს, ბრაზილიელი ბარიკელო საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება "ჰონდას" საჭესთან და კვალიფიკაციებში მუდმივად უსწრებს თანაგუნდელ - **ჯენსონ ბატონს**. ბარიკელოსთან ახალი ხელშეკრულების დადება, უკვე ივლისშია დაგეგმილი.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელ ჯანკარლო ფიზიკელას ყველა ფორმულა 1-ის დატოვებას ურჩევს, ეს პილოტი შეინარჩუნებს ადგილს "რენოში". ხელშეკრულების გახანგრძლივების წინაპირობა ის არის, რომ ფრანგული საჯინიბოს ახალგაზრდა წევრები - ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** და ტესტ-პილოტი **ნელსონ პიკე-უმცროსი** ჯერჯერობით, ვერ აჩვენებენ მაღალ შედეგებს.

რაც შეეხება ბრიტანელ დევიდ ქურთარდს, "რედ ბულთან" მოლაპარაკებების დროს, მას კოზირად გამოცდილება და სტაბილური შედეგები ექნება. ფორმალურად, ახალ კონტრაქტზე საუბარი ჯერ დაწყებული არ არის, მაგრამ მხარეებმა უკვე არაერთხელ გამოთქვეს თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი.

პოკერი

კინენი კალგარის გაწვრთნის

საბგენტო AP-ის ცნობით, ლეგენდარულმა კანადელმა მწვრთნელმა **მაიკ კინენმა** "კალგარი ფლეიმზთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს ინფორმაცია კანადურ კლუბთან დაახლოებულმა პირმა გაავრცელა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

კინენის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა ოფიციალურად დღეს გახდება ცნობილი.

რაც შეეხება "კალგარის" წინა დამრიგებელს **ჯიმ პლეიფეირს**, ის "ფლეიმზში" დარჩება და სხვა თანამდებობაზე იმუშავებს.

კინენს მწვრთნელის რანგში, NHL-ში 1014 მატჩი აქვს ჩატარებული, რომელთაგან 569 თავის სასარგებლოდ დაასრულა. 1993-94 წლების სეზონში მან "ნიუ ჯერსის" სტენლის თასი მოაპოვებინა, ხოლო მისი ხელმძღვანელობით, "ფილადელფიამ" და "ჩიკაგომ" ფინალში ითამაშეს.

უკანასკნელი გუნდი, რომელსაც ის ავარჯიშებდა, "ფლორიდა პანტერზი" იყო (2003-04 წლების სეზონიში), შემდეგ კი, კინენმა ამ გუნდის გენერალური მენეჯერის პოსტი დაიკავა.

ტარჟონი ლიგას დაემშვიდობა

"კოლორადო ეველანჩის" თავდამსხმელმა **პიერ ტარჟონმა** კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო - იუწყება სააგენტო "როიტერი".

37 წლის ფორვარდი ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში 27-ე ადგილზე იმყოფება და "ხუთასიანთა" კლუბის წევრიც გახლავთ. მის ანგარიშზე, კარიერაში 515 გოლი მოდის.

შარშანდელ სეზონში, კოლორადოელმა მხოლოდ 17 მატჩი ჩაატარა. მისი უთამაშებლობის მიზეზი მხარისა და მუხლის ოპერაციები გახდა.

ანაპაიმმა მწვრთნელი შეინარჩუნა

სტენლის თასის ახალი მფლობელის "ანაჰაიმ დაქსის" ხელმძღვანელობამ ერთი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი მთავარ მწვრთნელ **რენდი კარლაილს**.

51 წლის სპეციალისტმა "იხვები" 2005 წლის აგვისტოში ჩაიბარა და წლეულს, არსებობის ისტორიაში პირველად მოაგებინა სტენლის თასი.

ამასობაში, "ანაჰაიმის" გულშემატკივრებმა თავიანთი საყვარელი კლუბის სპორტული ატრიბუტიკის რეალიზაციის მხრივ, ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი რეკორდი დაამყარეს. "ოტავა სენატორზთან" ფინალური სერიის მსვლელობისას, გუნდის თითოეულმა ფანატმა, საშუალოდ 24.70 დოლარი დახარჯა საკლუბო პროდუქციის შესაძენად.

წინა რეკორდი "კაროლინა ჰარიკეინზს" ეკუთვნოდა, რომელსაც 2002 წელს, თითო გულშემატკივარმა საშუალოდ 17 დოლარი მოუტანა.

გრეტონი ტამპაში დაბრუნდა

"ტამპაბეი ლაიტნინგმა" "ფლორიდადან" ცენტრფორვარდი **კრის გრეტონი** გადაიბირა. 33 წლის ვეტერანის სანაცვლოდ, "პანტერებმა" წლევანდელი დრაფტის მეორე რაუნდში სასურველი ჰოკეისტის აყვანის უფლება მიიღეს.

გრეტონი თავის დროზე "ტამპას" ღირსებას იცავდა, გარდა ამისა, მას "ფილადელფიაში", "ბაფალოში", "კოლორადოსა" და "ფინიქსში" უთამაშია. ამ თავდამსხმელმა რეგულარულ ჩემპიონატში 1008 მატჩი ჩაატარა და 544 ქულა (204 გოლი+340 პასი) დააგროვა.

იაშინზე ნადირობა იწყება

1 ივლისს, NHL-ში თავისუფალი აგენტების ბაზარი იხსნება. ამ ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა 33 წლის რუსი ფორვარდი **ალექსეი იაშინი** იქნება, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ, "ნიუ იორკ აილენდერსის" ხელმძღვანელობამ დაითხოვა.

Boston Globe-ის ინფორმაციით, იაშინის აყვანაზე სამი კლუბი აცხადებს პრეტენზიას: "ატლანტა", "ვაშინგტონი" და "ლოს ანჯელესი".

თუმცა, იგივე გამოცემა არ გამორიცხავს, რომ რუსმა ჰოკეისტმა ევროპაში გააგრძელოს კარიერა. იქ მას აქტიურად ეპატიჟება გერმანული "ჰამბურგი".

შიგბურული სრიალი

ევროპას ტალინი უმასპინძლებს

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის (ISU) ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, რომ ფიგურული სრიალში 2010 წლის ევროპის ჩემპიონატი ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გაიმართება. ეს შეჯიბრი 18-24 იანვარს ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ 2008 წელს კონტინენტის პირველობას ზაგრები (ხორვატია) უმასპინძლებს, 2009 წელს - ჰელსინკი (ფინეთი).

ხელბურთი

დუშებაიევი მკაცრად დასაჯეს

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა ცნობილ ესპანელ ხელბურთელს **ტალანტ დუშებაიევს**.

ესპანეთის "სიუდად რეალის" 39 წლის მოთამაშემ, ტურნირ Super Globe-ის (კლუბებს შორის არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი) ერთ -ერთ მატჩში, ალეირულ "მულუდიას" წინააღმდეგ ჩხუბის პროვოცირება მოახდინა. დისკვალიფიკაციის გარდა, 1992 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს ათასი ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდაც მოუწევს.

"სიუდადი" Super Globe-ის გამარჯვებული გახდა. შეგახსენებთ, რომ დუშებაევი ამ გუნდის მთავარი მწვრთნელიცაა.

პეტაკიმ ჯიროს ბოლო ეტაპიც მოიგო

დასაშვებზე მეტი

იტალიურ სპორტულ გამოცემა "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ჯირო დ'იტალიას სამი ეტაპის გამარჯვებულების სინჯების ტესტირების შედეგად, მათში აკრძალული პრეპარატების დასაშვებზე მეტი დოზაა აღმოჩენილი.

გაზეთის ინფორმაციით, სალბუტამოლის მომეტებული დონე აღმოაჩნდათ სპრინტის იტალიელ სპეციალისტ **ალესანდრო პეტაკის** (მილრამი) და მთის იტალიელ სპეციალისტ **ლეონარდო პიეპოლის** (სონიე დიუვალი), პიეპოლის ესპანელ თანაგუნდელ **იბან მაიოს** კი სინჯში ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა დაუდგინეს.

სალბუტამოლი აკრძალული პრეპარატია, მაგრამ იმ ველომრბოლებს, რომლებიც ასთმით არიან ავად და შესაბამისი სამედიცინო სერთიფიკატი გააჩნიათ, მისი მცირე დოზებით გამოყენების უფლება ეძლევათ.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაცია დაადასტურა ბასკურმა ტელევიზიამ, რომლის ცნობითაც, აკრძალული პრეპარატის ჭარბი დონე მაიოს სინჯშიცაა აღმოჩენილი. შეგახსენებთ, რომ ერთ დროს მაიო ფრანგული ტურის სამთო ეტაპებზე კონკურენციას თვით **ლენს არმსტრონგსაც** კი უნევდა. ბასკ ველომრბოლს მოგებული აქვს 2003 წლის ტურის ალპ დ'უზის ეტაპი, მომდევნო სეზონში კი დოფინ ლიბერეს რბოლა მოიგო, რომელზეც ველომრბოლებს ტურის რამდენიმე სამთო ეტაპის მონაკვეთების გავლა უნევთ.

პეტაკიმ, ვისაც ორი წლის წინათ მილანი-სან რემოს კლასიკური რბოლა აქვს მოგებული, 2003 წლის ტურ დე ფრანსზე კი ოთხი სპრინტერული ეტაპი მოიგო, წლევანდელ ჯიროზე ხუთი ეტაპი მოიგო. რაც შეეხება მაიოს, ის ბოლო სამთო ეტაპის, ურთულესი ტერმე დი კომანოს გამარჯვებული გახდა.

"გაძეტა დელო სპორტისვე" ცნობით, ჯერჯერობით, ჩატარებული ტესტების შედეგების შესახებ, არავის არაფერი უცნობებია ამ ველომრბოლთა გუნდებისთვის. უფრო მეტიც, "სონიე დიუვალის" მენეჯერმა **მაურო ჯანეტიმ** ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართა, მაგრამ გარკვეული პასუხი ვერ მიიღო.

"კავშირში დავრეკე, სადაც მითხრეს - თუ თქვენ არანაირი ცნობა არ მიგიღიათ, ესე იგი, ამ საკითხთან დაკავშირებით, არც არანაირი ინფორმაცია არ არსებობსო. ეს აბსურდია", - ბრაზობს ჯანეტი.

პიეპოლიმ ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება დოფინ ლიბერეს მეოთხე ეტაპის დაწყებამდე გააკეთა: *"სიმართლეა ის, რომ მე სალბუტამოლს ალერგიის სამკურნალოდ ვიყენებ. ჯანეტიმ მკითხა, თუ რა დოზით ვიღებ მას, მაგრამ ამაზე მხოლოდ ის ვუპასუხე, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხშირად მომდის ალერგიული შეტევა. ეს წელიწადის დროზეა დამოკიდებული"*.

"გაძეტას" ცნობით, შარდის ის სამი სინჯი, რომლებშიც აკრძალული პრეპარატების კვალია აღმოჩენილი, რომის ლაბორატორიაში გადაიტანეს და აუცილებლობის შემთხვევაში, მათ ბარსელონას ლაბორატორიაშიც გადაამონმებენ.

■ ■ ■

დოპინგი აღმოუჩინეს კრივში სამი წონითი კატეგორიის ყოფილ ჩემპიონს, ამერიკელ **ჯეიმს ტონისაც**. ტონისგან სინჯი მაისში **დენი ბეჩელდერთან** ზემძიმე წონაში გამართული ბრძოლის შემდეგ აიღეს. ტესტირებამ მის სინჯში ორი აკრძალული სტეროიდული პრეპარატის (ბოლდენონი და სტანოზოლოლი) კვალი აღმოაჩინა. შედეგად, მოკრივეს დაუყოვნებლივ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ტონის გარდა, ორი სტეროიდი აღმოუჩინეს ბეჩელდერსაც (25-5-1, 12 ნოკაუტი), ვის სინჯშიც სტანოზოლოლისა და ოქსანდოლოლის ჭარბი დონე დაფიქსირდა.

ის ბრძოლა ტონიმ (70-6-3, 43 ნოკაუტი) ქულებით მოიგო. შტატ კალიფორნიის სპორტული კომისიის აღმასრულებელ **არმანდო გარსიას** თქმით, ბრძოლის შედეგი არ გაუქმდება.

შეგახსენებთ, რომ ეს ტონის კარიერაში დოპინგზე პირველი ჩავარდნა არაა. თავის დროზე, ის IBF-ის ვერსიით საუნალო, ზესაშუალო და კრეისერის (მძიმე) წონაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი. მერე ზემძიმეში ქულებით WBC-ს ჩემპიონ **ჯონ რუისსაც** მოუგო, მაგრამ დოპინგზე (ნანდროლონი) ჩავარდა, რის გამოც, ბრძოლის შედეგი გაუქმდა.

ტურნირები

ATP

Gerry Weber Open

ჰალე (გერმანია). ბალახი

საპრიზო ფონდი: 680 250 ევრო

II რაუნდი

ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 3)-ევგენი კოროლიოვი (რუს) 7:5, 6:1; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 4)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:3, 7:6 (5); **მიხაილ იუჟნი (რუს, 6)**-სიმონ სტადლერი (გერ) 6:4, 1:6, 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-აისამ-ჰაკ ქურეში (პაკ) 6:4, 6:3.

The Artois Championships

ლონდონი (ინგლისი). ბალახი

საპრიზო ფონდი: 680 250 ევრო

II რაუნდი

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:4, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 3)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 7:6 (7), 4:6, 7:6 (7); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 3:6, 6:3, 6:2; **ჯო-ვილფრიდ ცონგა (საფ)**-ლუიტონ პიუიტი (ავსტრა, 6) 7:6 (5), 7:6 (2); **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 7)**-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 7:5, 6:1; **ნიკოლა მაუ (საფ)**-იონას ბიორკმანი (შვედ, 11) 6:3, 6:7 (2), 6:3; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 12)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 7:6 (4) ლოდრა უარი; **არნო კლემანი (საფ, 14)**-კრის გუჩონე (ავსტრა) 6:4, 6:4; **რობი ჯინეპრი (აშშ, 15)**-ფლორან სერა (საფ) 6:4, 7:6 (3); **ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტ)**-ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ) 4:6, 7:6 (4), 6:3; **იგო კარლოვიჩი (ხორ)**-ალექს კუზნეცოვი (აშშ) 2:6, 6:2, 7:6 (2); **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:3, 6:4; **მაქს მირნი (ბლრ)**-გაელ მონფილსი (საფ) 6:7 (2), 6:2, 7:5.

WTA

DFS Classic

ბირმინგემი (ინგლისი). ბალახი

საპრიზო ფონდი: 200 000 დოლარი

II რაუნდი

მარია შარაპოვა (რუს, 1)-ლილია ოსტერლო (აშშ) 6:4, 6:0; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:4, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 5)**-ნაომი კავადი (ბრიტ) 6:3, 6:1; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 6)**-იუნ-იან ჩანი (ჩინ) 6:3, 6:4; **აიუმი მორიტა (იაპ)**-აი სუგიამა (იაპ, 7) 6:4, 1:6, 6:2; **მარა სანტანჯელო (იტა, 8)**-სანია მირზა (ინდ) 6:3, 3:6, 7:6 (6); **იულია ვაკულენკო (უკრ, 9)**-ანდრეია კლეპაჩი (სლოვენ) 6:4, 6:7 (5), 6:3; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-მეილენ ტუ (აშშ, 13) 6:2, 7:6 (3); **ვანია კინგი (აშშ)**-ალისია მოლიკი (ავსტრა) 7:6 (10), 6:4; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-აშა როული (აშშ) 6:4, 6:1; **იულიანა ფედაკი (უკრ)**-მილაგროს სეკერა (ვენ) 3:6, 6:4, 6:3.

Barcelona KIA

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

II რაუნდი

აგნეს შავაი (უნგ)-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 1) 6:1, 6:1; **ემილი ლუა (საფ, 3)**-კამილ პინი (საფ) 6:1, 6:1; **კაია კანეპი (ესტ, 4)**-მარია ემილია სალერნი (არგ) 6:3, 6:0; **ედინა გალოვიტცი (რუმ)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ, 5) 6:4, 6:2; **მეგან შონესი (აშშ, 6)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 7:5, 6:4; **ვირჟინ რაზანო (საფ, 7)**-მელიდნა შინკი (უნგ) 7:6, 3:6, 6:2; **ფლავია პენეტა (იტა, 8)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:3, 6:4; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-ემანუელე გალიარდი (შვეიც) 6:0, 6:4.

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თფალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაგ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხოფასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპაიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასლია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პატრონიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ, 0159 თბილისი (დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა